საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი მიმართავს მსოფლიო საზოგადოებრიობას რეაგირების გარეშე არ დატოვოს რუსეთის აგრესიული ქმედება საქართველოს მიმართ და არ დაუშვას საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილ პოლიტიკურ ძალთაგან

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 56 (560) პარასკევი 19 მარტი, 1993 წელი. ფასი 5 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

საქართველოს სამხედრო სარდლობის ცნობა

18 მარტს საბრძოლო მოქმედება მდინარე გუმისთაზე მიწყდა.

აფხაზი ექსტრემისტებისა და რუსეთის ფედერაციიდან მათი დაქირავებულების ალყაშემორტყმული ჯგუფი, რომელმაც წინათ შეაღწია სოფელ აჩადარაში საქართველოს ჯარების თავდაცვის ტერიტორიაზე, ლიკვიდირებულია.

მოწინააღმდეგის სარდლობამ შეუპოვარი ცდების მიუხედავად ვერ შეძლო დახმარება გაეწია ალყაში მოქცეულთათვის, რადგან საქართველოს ჯარების პირადმა შემადგენლობამ და არტილერიის ცეცხლმა აღკვეთა ეს ცდები.

ღამით ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კოლონა პრაქტიკულად მოსპო გრადის სისტემამ და ლულიანმა არტილერიამ.

სულ ბრძოლების დღეების მანძილზე დაწვეს ჯავშანტექნიკის შვიდი ერთეული და სატვირთო ავტომანქანა. ჩააჩუმეს მოწინააღმდეგის 5 საცეცხლე წერტილი და ჩაძირეს 3 საბრძოლო კატარღა დესანტითურთ.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე სეპარატისტები გადარეკეს მდინარე გუმისთის გაღმა და მათ, წინასწარი მონაცემებით, დაუხოცეს 800 და დაუჭრეს 500-ზე მეტი კაცი, და ისინი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ. მდინარე გუმისთის გაღმა მოკალათებული აფხაზი სნაიპერები სერიოზულად უშლიან ხელს რუსეთის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მოკლული აფხაზი სეპარატისტებისა და დაქირავებულების გამოყვანას, რასაც შეიძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს ეპიდემიოლოგიისა და სანიტარიის თვალსაზრისით. საქართველოს ჯარების შევსება საბრძოლო ტექნიკის, საბრძოლო მასალებისა და ცოცხალი ძალის სახით კვლავ მოდის.

ქალაქ სოხუმის მოსახლეობა აფხაზთა მხარის მიერ საცხოვრებელი უბნების ბარბაროსული დაბომბვისა და ცეცხლის დაშენის შემდეგ წმენდს ხერგილებსა და დანგრეულ სახლებს, წესრიგს ამყარებს ქალაქის საზოგადოებრივ ადგილებსა და ქუჩებში.

◉

საქინფორმის კორესპონდენტს დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრში აცნობეს, რომ ნავთლუღის პირველ დასახლებაში, თავის საცხოვრებელ ბინაში ბოროტმოქმედებმა მოკლეს პაპა და შვილიშვილი — ფირუზ ქიზიყაშვილი და ლინა დავითაშვილი. ქიზიყაშვილის მეუღლე ეთერ ქიზიყაშვილი გულ-მკერდის არეში დაჭრეს.

მიმდინარეობს გამოძიება.

* * *

„ხაშურელი" ეწოდება მოხალისეთა რაზმს, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა ასაკის ადგილობრივ მცხოვრებთაგან. რაიონში წინასამობილიზაციო ვითარებაა. მიმდინარეობს რეზერვისტთა აღრიცხვა, შემუშავდა საბრძოლო ტექნიკის წესრიგში მოყვანის ღონისძიებანი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს დემოკრატიული ძალები წინ აღუდგებიან „ბოროტების იმპერიის" აღორძინებას

საქართველოს პარლამენტის მიმართვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას
ევროპარლამენტს
მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს
რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს

აფხაზეთში უკანასკნელი დღეების მოვლენები ადასტურებს, რომ რუსეთი აფართოებს გამოუცხადებელი ომის მასშტაბებს საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებიდან და საზღვაო ხომალდებიდან იბომბება ქ. სოხუმი და მისი შემოგარენი, რის გამოც მკვეთრად მატულობს მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

1993 წლის 16 მარტს დაიწყო სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მასირებული შეტევა ქ. სოხუმზე. ამ ოპერაციის ხასიათი და მასშტაბი აშკარად მოწმობს, რომ აფხაზ სეპარატისტებს ამოფარებული რუსეთის შეიარაღებული ძალები ხსენებულ ოპერაციაში ასრულებენ გადამწყვეტ როლს, რაც ააშკარავებს რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

აღნიშნული პოზიცია, აშკარად აგრესიული, იმთავითვე ნათელი იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის კეთილმეზობლური ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე, დღემდე თავს იკავებდა ოფიციალურად მიეცა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკისათვის ადეკვატური კვალიფიკაცია, რათა ამით არ შეექმნა სირთულეები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ დადგა დრო საგნებსა და მოვლენებს თავისი სახელი დაერქვას და აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედებების პოლიტიკური მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს რუსეთის პარლამენტს, მის მთავრობას, რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას გაითვალისწინონ ის სავალალო შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს სუვერენული სახელმწიფოს მიმართ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს მსოფლიო საზოგადოებრიობას რეაგირების გარეშე არ დატოვოს რუსეთის აგრესიული ქმედება საქართველოს მიმართ და არ დაუშვას საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილ პოლიტიკურ ძალთაგან. დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო დემოკრატიული ძალები წინ აღუდგებიან „ბოროტების იმპერიის" აღორძინებას და ამით უდიდეს საფრთხეს ააცილებენ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის — თვით რუს ხალხს, ასევე მთელ მსოფლიოსაც.

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.

გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ

საომარი მოქმედება აფხაზეთში მკვეთრად გააქტიურდა.

1993 წლის 16 მარტს დაიწყო ქალაქ სოხუმზე სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მასირებული შეტევა. ამ ოპერაციის ხასიათი და მასშტაბი თვალნათლივ მოწმობს იმას, რომ აფხაზ სეპარატისტებს ამოფარებული რუსეთის შეიარაღებული ძალები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ამ ოპერაციებში.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტორეპორტიორები მოვლენათა შუაგულში არიან. ისინი ქმნიან სეპარატისტების მიერ გაჩაღებული უაზრო ომის სისხლიანი ისტორიის ფოტომატიანეს.

სურათებზე: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური — საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ედუარდ შევარდნაძე ეწვია საბრძოლო პოზიციებს. დაათვალიერა ბომბებითა და რაკეტებით დანგრეული სოხუმის საცხოვრებელი უბნები; ჰაერიდან დაბომბვის კიდევ ერთი მსხვერპლი.

ირაკლი ჭოხონელიძისა და ვანო შამანაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნომერში

◉ ნუ ჩავძირავთ ხომალდს ნავსაყუდელში შესვლამდე! 2-3
◉ გაიმართება წელში მცირე ბიზნესი? 4

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის განცხადებასთან დაკავშირებით მტკიცე პროტესტი გამოთქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ. როგორც ნათქვამია სამხედრო უწყების დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში, „სინამდვილეში სიცრუე და პროვოკაციაა გრაჩოვის მტკიცებანი, თითქოსდა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში არსებობდეს შვიდი სუ-25 თვითმფრინავი, რომლებიც შეღებილია რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ფერებად და ჰქონოდეს რუსეთის სიმბოლიკა. კიდევ უფრო მკრეხელურია მისი მონაჩმახი, თითქოს ისინი ბომბავდნენ საკუთარ ქალაქს. ზუსტად ორი დღის წინათ აფხაზეთის მხარემ, თავისი მფარველების გამოსარჩლების მიზნით, მთელი პასუხისმგებლობა ქალაქ სოხუმის დაბომბვისათვის თვითონ იკისრა. რაღაც არ შეესაბამება ერთი განცხადება მეორეს, ეტყობა, ბოლომდე ვერ შეთანხმებულან...

მაგრამ გრაჩოვი ახსნა-განმარტებებით კი არ იფარგლება, არამედ პირდაპირ მუქარაზე გადადის. მაგალითად, აფხაზეთში რუსეთის არმიის ოპერატიული ჯგუფის სარდლობის განცხადებაში ნათქვამია, რომ ძალისმიერი ზემოქმედების შემთხვევაში მიმართავენ ღონისძიებებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ყველა საშუალების დაუყოვნებლივ მოსასპობად, ხოლო ავიაციას მოსპობენ არა მარტო ბატალიონის ტერიტორიაზე, არამედ მისგან 5-კილომეტრიან ზონაშიც, ის კი არა და, მოსპობენ ავიაციას უახლოესი ბაზირების აეროდრომზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აღშფოთებით აღიქვა იმ განცხადების ცინიზმი, რომ ამასთან პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. კიდევ უფრო ცინიკურად ჟღერს მტკიცება, რომ „რუსეთის ჯარები არ მონაწილეობენ კონფლიქტში და იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს".

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში გრაჩოვის „ცნობილი" ვიზიტებით დაწყებული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაუარესებისათვის „მუშაობა" მან ლამის პროფესიად გაიხადა.

საქართველოს ხელმძღვანელობის არაერთგზის წინადადებებს, შეხვედროდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან გუდაუთაში დისლოცირებული ჯარების რუსეთის ჯგუფის წარმომადგენლებს, რეაგირება არ მოჰყოლია. არ სრულდება არც წინათ მიღწეული მორიგებანი ეშერაში მდებარე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ლაბორატორიის მოწყობილობის დემონტაჟისა და იქიდან რუსეთის მედესანტეთა ქვეგანაყოფების ევაკუაციის შესახებ.

თენგიზ კიტოვანი:

სოხუმი საქართველოა, საქართველოს კი ვერ შეველევით

რა ვითარებაა დღეს სოხუმში? — ამ კითხვით ცხოვრობს დღეს საქართველო და ჩვენც ეს კითხვა დავუსვით საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ თენგიზ კიტოვანს, რომელსაც ტელეფონით დავუკავშირდით.

— სოხუმში შედარებით სიმშვიდეა, ძირითადი პოზიციები აღდგენილია, — დაგვამშვიდა მან.— და რაც მთავარია, — თქვა შემდეგ ბატონმა თენგიზმა, ბატალიონების, ასეულების, ბრიგადებისა და კორპუსების მებრძოლებს შორის მაღალი საბრძოლო და პატრიოტული სულისკვეთება სუფევს. ამას ხელი შეუწყო ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლამ სოხუმში. ბიჭები თავგანწირვით იბრძვიან მამულის ერთიანობისა და მთლიანობისათვის. სოხუმი საქართველოა, საქართველოს კი ვერ შეველევით, ვერავის ვერ დავუთმობთ.

მძიმე დღეები გადახდათ საქართველოს შვილებს. ახლა უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთი უშუალოდ მონაწილეობს საომარ მოქმედებაში. მართალია, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული ჯგუფის უფროსი ვიქტორ სოროკინი ამტკიცებს, რუსეთი ნეიტრალიტეტს იცავსო, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. მარტო ორი დღის ბრძოლებში დაიღუპა და დაიჭრა 500-ზე მეტი მებრძოლი ეგრეთ წოდებული აფხაზური მხრიდან, მათ შორის ნახევარი კი რუსი ეროვნებისა აღმოჩნდა. მრავალი რუსია ტყვეთა შორის. მართალია, ამჟამად შეწყდა საბრძოლო მოქმედება, მაგრამ რა ფასად დაუჯდათ ჩვენს შვილებს, რათა უკუეგდოთ მდინარე გუმისთასთან შემოჭრილი დაუპატიჟებელი სტუმრები? მართალია აღიკვეთა ზღვიდან დესანტის გადმოსხმის მცდელობა და ხუთი საბრძოლო ხომალდიდან ოთხი უკუვაგდეთ, ერთი კი ჩავძირეთ, მაგრამ კვლავ მძაფრია სიტუაცია. ეს პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს პოლიტიკური გზით. სრულიად შეუწყნარებელია, რომ სოხუმის მოსახლეობას უსასრულოდ შიშის ზარს სცემდეს დამოკლეს მახვილი.

დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ეშერაში განლაგებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 24-ე ლაბორატორიის დემონტაჟი, ევაკუირებულ უნდა იქნენ რუსეთის დესანტის ქვეგანაყოფები.

კითხვაზე, თუ ვინ უფრო ისახელა თავი საბრძოლო ოპერაციებში, ბატონმა თენგიზ კიტოვანმა ბრძანა, რომ ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა: „შავნაბადას" ბატალიონმა, სოხუმის სამხედრო პოლიციამ, მეექვსე ბატალიონმა... — დაიწყო მან ჩამოთვლა და უცებ ასე დაასრულა: ყველამ ისახელა თავი, ყველამ, ვინც კი სოხუმს იცავს, — ყველანი გმირები, ვაჟკაცები არიან!

გალინა ჩიქოვანი.

გროზნოს გამოხმაურება აფხაზეთის ამბებზე

სააგენტო „იფრინდას" კორესპონდენტთან საუბარში „ჩეჩნეთპრესის" ხელმძღვანელმა თქვა, რომ უკანასკნელი მონაცემებით, აფხაზეთში კონფლიქტის ზონაში, აფხაზთა ფორმირებების მხარეზე, პრაქტიკულად, არ არის არც ერთი ჩეჩენი. „უფრო მეტიც, თქვა მან, წინათ აფხაზების მხარდამხარ მებრძოლ ჩეჩენ მეომართა დამოკიდებულება ამ ბოლო პერიოდში სხვადასხვა მიზეზით მკვეთრად გამწვავდა. რამდენიმე დღის წინათ აფხაზებმა მუხანათურად, ზურგში ესროლეს ორ ჩეჩენ მებრძოლს, რასაც უაღრესად ნეგატიური რეაქცია მოჰყვა ჩეჩნეთის მოსახლეობაში".

„ვითვალისწინებთ რა დღეისათვის უკიდურესად დაძაბულ ურთიერთობას რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის, აგრეთვე რუსეთის შეიარაღებული ძალების აგრესიულ მოქმედებას აფხაზეთში, ხაზგასმით აღნიშნა „ჩეჩნეთპრესის" ხელმძღვანელმა, ყოველი ჩეჩენი, რომელიც იბრძოლებს აფხაზთა მხარეზე, მიჩნეული იქნება ჩეჩენი ხალხის ინტერესების მოღალატედ. ამავე დროს, უპრიანია გავიხსენოთ, აღნიშნა მან, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში კავკასიის ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებული ძალების სარდალმა შამილ ბასაევმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, სანამ მიმდინარეობს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტი და იტანჯება მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხი, ჩვენ დავეხმარებით აფხაზებს, თუკი რუსეთსა და საქართველოს შორის დაიწყება საომარი მოქმედება, ჩეჩენი მოხალისეები იბრძოლებენ საქართველოს მხარეზე".

გზები გამოკვეთილია,

ანუ სიყვარული არ იქნება ძალადა

საქვეყნო ფიქრი

თითქოს არავისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ამგვარი ვერაგობა. თითქოს რაღაცნაირი შინაგანი დაძაბულობით ველოდით კიდეც ამ დღეს. მაგრამ მაინც სწორედ თითქოს თავის მოულოდნელობით შეგვძრა და დაგვზაფრა 16 მარტის აფხაზურმა ტრაგედიამ. „უკვე ასე ღიად, ასე აშკარად?!" — რას ფიქრობენ მომხდარზე საქართველოს პარლამენტის წევრები?

ირაკლი შენგელაია (საპარლამენტო ჯგუფი „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი"). **რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური მიზეზი არ შეუცვლია.**

ის, რაც 16 მარტს აფხაზეთში მოხდა, კიდევ ერთი გამოვლინებაა რუსეთის ინტერესისა საქართველოს, ამიერკავკასიის, საერთოდ კავკასიის რეგიონისადმი. ამ ბოლო ორი საუკუნის ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური მიზნები არსებითად არ შეუცვლია. ისტორიის მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ დღევანდელობით შემოვიფარგლებით. რუსეთმა მთლიანად დაკარგა ან კარგავს კონტროლს შავ ზღვაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები განთავისუფლდნენ მისი გავლენისაგან, უკრაინა დამოუკიდებელ პოლიტიკას ადგას. ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მისი გავლენის მოსპობა შავ ზღვაზე მას უტოვებს ძალზე ვიწრო გასასვლელს კრასნოდარის მხრიდან. ახლა თუ არა, ძალზე მალე მოხდება ის, რომ რუსეთი თავის მძლავრი წინამორბედის — სსრ კავშირისაგან განსხვავებით, რომელსაც სრული ჰეგემონია ჰქონდა შავ ზღვაზე, რჩება შავი ზღვის აუზის ერთ-ერთ, ხაზს ვუსვამ, — ერთ-ერთ, რიგით და არა მთავარ ქვეყნად. ყოველივე ამის ერთი მძაფრი გამოვლინება იყო 16 მარტის მოვლენები. იმასაც მივაქცევ ყურადღებას, რომ ამ კონფლიქტში შემთხვევითი არ არის სომხური ფაქტორის შემოტანის ცდა.

გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან მე ასე მესახება: მსოფლიოს, ევროპის ქვეყნებმა უნდა გაიგონ, რომ მათთვის კავკასიის რეგიონში დამკვიდრების ერთადერთი გზა საქართველოა, მისი დამოუკიდებლობა რუსეთის ფაქტორისაგან. თუ ვინმე დაინტერესებულია კავკასიის თავისუფლებით, — ეს კი ბევრი რამის დასაყრდენი შეიძლება იყოს, — უნდა დარწმუნდეს, რომ ეს საქართველოს დამოუკიდებლობაზე გადის.

მიხეილ ნანეიშვილი (ფრაქცია „ლიბერალები"): **შეცდომას შეცდომით არ უნდა ვუპასუხოთ.**

საქართველო-რუსეთის ისედაც მწვავე ურთიერთობამ გარკვეული აზრით კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ამ სიტუაციაში საქართველოს პარლამენტს განსაკუთრებული სიფრთხილე და გონიერება მართებს. ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა ემოციათა დაოკება და საღი გონებით მოქმედება.

ვფიქრობ, რუსეთმა 16 მარტის ამ აქციით გამოუსწორებელი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა და ჩვენ ასევე შეცდომით არ უნდა ვუპასუხოთ, რომ რეაქციულ ძალებს ამით საქმე არ გავუადვილოთ.

იაკა ორჯონიკიძე (დამოუკიდებელი დეპუტატი): **სიყვარული არ იქნება ძალადა.**

რუსეთში 16 მარტს მომხდარი ფაქტი ჩემში განცვიფრებას არ იწვევს, აღშფოთებას — კი, რა თქმა უნდა. ყველაფერი მოსალოდნელი იყო, რადგან რუსული ცნობიერება ზოგადად და, კერძოდ, რუსეთის მმართველი წრეების ცნობიერება, კიდევ კარგა ხანს ვერ შეეგუება დამოუკიდებელ რესპუბლიკათა არსებობას. დრო და საშუალება რომ იყოს, შეიძლებოდა რუსული იმპერიალიზმის უფრო ღრმა და ხელშესახები ანალიზი, მაგრამ, ვფიქრობ, არ არის საჭირო, რადგან ყველა ჭკუათმყოფელმა კაცმა იცის, როგორ დაიწყო და რა სამარცხვინოდ დამთავრდა მსოფლიო ბატონობის მოსურნე რუსული იმპერიის ისტორია. დიახ, დამთავრდა. რუსეთი ვეღარასოდეს შემოიკრებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვა. მეტსაც ვიტყვი, — უკვე დაიწყო და ჩვენ მოვესწრებით, რომ დამთავრდება რუსეთის ფედერაციის დაშლა შემადგენელ ნაწილებად. რაც უფრო მეტად შეეცდება რუსეთი არ გაუშვას თავის შემადგენლობიდან ხალხები დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზაზე, მით უფრო სწრაფად წავა ფედერაციის დაშლის პროცესი. ხომ გაგვიგონიათ, სიყვარული არ იქნება ძალადაო.

რაც შეეხება აფხაზეთს, ეს გამოუცხადებელი ომიც მხოლოდ რეაქციული წრეების ნების გამოხატულება არ არის. მე არ მჯერა, რომ როდესაც სოხუმი იბომბება, ბატონმა ელცინმა ამის შესახებ არაფერი იცის.

სოხუმის დაბომბვა და აგრესია საქართველოს წინააღმდეგ დამანგრეველ გავლენას მოახდენს თვით რუსეთის შიდა პოლიტიკაზე. იგი ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე ადრე თუ გვიან პირშერცხვენილი წარსდგება. რუსთა გენერლებს არაფრის ცხვენიათ. რა გასაკვირია, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ 19 აგვისტოს გამოყვანილი ტანკები გაგრაში დაქროდნენ, ახლა კი სოხუმისკენ მოიჩქაროდნენ.

მაოცებს აფხაზ ლიდერთა უგნურება, თუმცა მათი ალიანსი იმპერიულ რუსეთთან ახალი არ არის. ამ ალიანსსაც დიდი დღე აღარ უწერია. აფხაზეთი იყო, არის და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ამ მიწაზე ცხოვრობდნენ და კვლავაც იცხოვრებენ ქართველები, რაღა თქმა უნდა, აფხაზებთან ერთად.

აკაკი ასათიანი (ტრადიციონალისტთა კავშირი): **ყველაფერი გამოკვეთილი კურსის უქონლობის ბრალია.**

ჩემი აზრით, აფხაზეთში ამ ბოლო ხანებში დატრიალებული მოვლენები იმის მწარე ნაყოფია, რომ ჩვენ არ გვქონია მტკიცედ განსაზღვრული კურსი რუსეთთან ურთიერთობაში. ჩვენი ერთი ნაწილი ხისტ პოზიციაზე იდგა, რომელიც გულისხმობდა რუსეთთან ძალზე კატეგორიულ დამოკიდებულებას და მასზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის მეშვეობით ზეგავლენის მოხდენას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. მეორეთა აზრით კი კონფორმიზმის გზას ენიჭებოდა უპირატესობა.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამას ეწირება ადამიანთა სიცოცხლე, დაინგრა ჩვენი უმშვენიერესი ქალაქი სოხუმი. პრაქტიკულად ჯერჯერობით დაკარგულია აფხაზეთის ნაწილი, ყოველივე ამის გამოსწორებას კი დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

პეტრე მამრაძე (ფრაქცია „მწვანეები"): **იმედი მაქვს.**

ის, რაც მოხდა — ფართომასშტაბიანი შეტევა საქართველოს შეიარაღებული ძალების პოზიციებზე სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების ერთობლივი მონაწილეობით — არის პირდაპირი საბუთი იმისა, რომ დღეს საქმე გვაქვს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან და პასუხისმგებლობა მომხდარზე მთლიანად ეკისრება რუსეთის მხარეს. აქამდე გვქონდა მონაცემები, რომ რუსეთის არმიის ოფიცრები, ჯარისკაცები მონაწილეობდნენ გუდაუთის დაჯგუფების შეიარაღებულ ფორმირებაში, მაგრამ ეს ფაქტი უკვე დაუფარავი აგრესიაა, რაც ჩვენი აზრით მსოფლიოს საზოგადოებრიობამ უნდა გაიგოს, რათა სწორად შეაფასოს კონფლიქტის მთელი მასშტაბი და არსი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ომის შეწყვეტისათვის, თორემ ეს უშუალოდ ემუქრება მთელს კავკასიის რეგიონში სტაბილურობას.

დაახლოებით ამგვარი აზრი შევატყობინეთ საზღვარგარეთელ კოლეგებს — მწვანეთა პარტიებს. გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი იზიარებენ ჩვენ პოზიციას. მივუთითეთ ისიც, რომ რუსეთის ვეებერთელა საინფორმაციო მანქანა ყველა ღონეს ხმარობს სიმართლის მისაჩქმალად.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება, ბატონი შევარდნაძის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი გადამწყვეტ სიტყვას იტყვის. იმედი მაქვს, მსოფლიო საზოგადოებრიობა მონახავს ზემოქმედების საშუალებებს რუსეთის იმ ძალებზე, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს ამ კონფლიქტის ესკალაციაზე.

გიორგი კობახიძე (ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატები"): **რუსეთი ვერ გველევა.**

ის, რაც თექვსმეტში მოხდა, არ იყო მოულოდნელი არც როგორც სამხედრო მოქმედება, არც როგორც პოლიტიკური ნაბიჯი. სამხედრო თვალსაზრისით ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ იყო წინასწარ ინფორმაცია, რომ მიმდინარეობდა ძალთა კონცენტრაცია მდინარე გუმისთის მიდამოებში (უბრალოდ, სხვა დღე იყო დასახელებული). ქართული მხარე, ბუნებრივია, თავის მხრივ სამზადისში იყო, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოწინააღმდეგემ მიზანი ვერ განახორციელა.

რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ მხარეს, ყველაფერი იმით იწყება, რომ რუსეთს თავისი იმპერიული მადა ჯერაც არ განელებია და უჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ საქართველო მისთვის დაკარგულია. ამიტომ იგი ყველა ხერხით ცდილობს თავისი გავლენის სფეროში მოიქციოს ჩვენი ქვეყანა.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გააკეთა შესაბამისი განცხადებები, რომლებიც დაიგზავნა უცხოეთში სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა დონეზე; შეიქმნა ორი ოპერატიული შტაბი — საინფორმაციო-საორგანიზაციო და სამობილიზაციო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე შტაბი, სადაც აღრიცხულნი და მზადყოფნაში არიან პარტიის წევრები, რათა მობილიზაციის გამოცხადებისთანავე ფრონტს მიაშურონ. ჩვენი პარტიის სპიკერი გიორგი ჭანტურია ახლა სოხუმშია, ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ მომხდარი ამბავი ჩვენთვის რიგით მოვლენად არ აღიქმება.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ საქართველოს მხარე ცდილობს მომხდარმა საქართველო-რუსეთის მომავალ ურთიერთობაზე გადამწყვეტი გავლენა არ მოახდინოს. ისიც სათქმელია, რომ რუსეთის მხარეს სურს ჩაშალოს ხელშეკრულება, რომელზეც ამდენი ხანია ვმუშაობთ, თანაც ისე, რომ ყველაფერი ქართულ მხარეს დაბრალდეს. მაგრამ იმედი მაქვს, საწადელს ვერ მიაღწევენ.

ალექსანდრე ჩიკვაიძე: „ესპანეთი ჩვენი მეგობარი და პარტნიორია“

საქართველოსა და ესპანეთის კულტურული ურთიერთობის შეთანხმების, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის ოქმის ხელმოწერით დამთავრდა ჩვენი ქვეყნის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი მადრიდში. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე მეთაურობდა, შედიოდნენ ფინანსთა მინისტრი კახი ბოპიაშვილი, პარლამენტის წევრი ზურაბ წერეთელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე.

— ჩვენმა დელეგაციამ სერიოზული მუშაობა გასწია, სანამ გაემგზავრებოდა ესპანეთში, რომელიც ისტორიულად საქართველოს მეგობარი და პარტნიორია, — უთხრა „საქინფორმის“ კორესპონდენტს ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ. — ჯერ კიდევ თბილისში მომზადდა დოკუმენტების პაკეტი, რომლებიც სოლიდურ საფუძველს უქმნიან ესპანეთისა და საქართველოს მეგობრობასა და თანამშრომლობას, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ჩვენ ორჯერ შევხვდით საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ხავიერ სოლანა მადარიაგას, რომელსაც გადავეცით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წერილები მისი უდიდებულესობის ესპანეთის მეფის ხუან კარლოს პირველისა და ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის ფილიპე გონსალესისათვის.

ვეწვიეთ ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიას და შევთანხმდით, რომ იგი დაგვეხმარება დიპლომატთა ეროვნული კადრების მომზადებაში, მიიღებს მათ პრაქტიკისათვის. ეს აკადემია, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს ევროპაში, დაარსდა ნახევარი საუკუნის წინათ და დიპლომატიური სამსახურის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა სწავლების მდიდარი გამოცდილება აქვს. გადაწყდა, რომ უკვე წელს სამი ქართველი ახალგაზრდა დიპლომატი აქ სწავლების ცხრა თვის კურსს გაივლის.

საქართველოსა და ესპანეთს შორის ხელსაყრელი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს შეხვედრებს ამ ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. კერძოდ, ვაჭრობის სამინისტროში შევათანხმეთ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი პროექტი, რომელსაც ხელს მოვაწერთ გარკვეული დახვეწის შემდეგ, ორივე მხარის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ წინადადებათა გათვალისწინებით. ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ბატონ არიას ინიციატივით ჩვენი დელეგაცია იწვია სეოეს — ესპანეთის ასოციაციამ, რომელიც პრაქტიკულად მთელ ესპანურ ბიზნესს აერთიანებს. მასში შედის ხუთი ათასი მსხვილი და საშუალო ფირმა, რომლებიც წარმოებისა და სერვისის ყველა სფეროში მუშაობენ. მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება ესპანელ ექსპერტთა ჯგუფი გამოგზავნონ საქართველოში, რათა ადგილზე დასახონ და განიხილონ თანამშრომლობის კონკრეტული დარგები.

ყველა შეხვედრისა და საუბარში მონაწილეობდა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო ესპანელ პარტნიორებს საქართველოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სფეროები, რომლებშიც შესაძლებელია ერთობლივი საქმიანობა. იგი მონაწილეობდა აგრეთვე ასოციაცია „მხ“-ის ხელმძღვანელთა თათბირში, რომელსაც აქვს ინტერესები მრეწველობის, ინვესტიციების, აგროინდუსტრიის, ფინანსური სერვისის, კადრების სწავლების, კონსულტაციათა დარგში და ა. შ. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები უკვე იყვნენ საქართველოში და მადრიდის შეხვედრისათვის მოამზადეს კონკრეტული პროექტები ქართული აგროსერვისის, ტურიზმის, საექსპორტოდ საქართველოში მინერალური და სასმელი წყლის წარმოების ინვესტირების კონკრეტული პროექტები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე „მხ“ ასოციაციის ექსპერტები კვლავ ჩამოვლენ საქართველოში შეთანხმებათა დასადებად, რომლებსაც შემდეგ წარუდგენენ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას ამ მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციისაგან კრედიტების მიღების მიზნით. ამასთან, საზღვარგარეთული ინვესტიციების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა ესპანელმა პარტნიორებმა თავად იკისრეს.

ზურაბ წერეთელი იწვია ქალაქ სევილიამ. აქ შენდება ესპანეთის მეფე ხუან კარლოს პირველის სახელობის პროსპექტი, რომელზეც უნდა აიგოს ქართველ ოსტატთა ორმოცდახუთმეტრიანი მონუმენტი თემაზე: „ახალი მსოფლიო“. ესპანეთის ამ ქალაქის ხელისუფლებმა ეს ჯერ კიდევ შარშან გამოაცხადეს, როცა ზურაბ წერეთელმა მონუმენტის თავისი პროექტი წარუდგინა. იგი მოუწონეს ესპანეთის მეფემ და ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარემ. ახლა, სევილიის მერთან შეხვედრის დროს, ზურაბ წერეთელს გამოუყვეს ნაკვეთი მონუმენტისათვის, აგრეთვე, შეათანხმეს მისი მშენებლობის სამუშაოთა გრაფიკი.

ინტერვიუს დასასრულს, ალექსანდრე ჩიკვაიძემ განაცხადა, რომ ესპანელი კოლეგა მოიწვია საქართველოში მისთვის ნებისმიერ მოსახერხებელ დროს. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ.

პარლამენტის მუდმივმოქმედ კომისიებში

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე რ. კუპრავა. კომისიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ფასიანი სასწავლებლების დებულება, იმსჯელა ამ ტიპის სასწავლებლების ატესტაციის თაობაზე.

განიხილეს საკითხი განათლების სისტემისა და უწყებრივი დაქვემდებარების სასწავლებლების ობიექტების პრივატიზაციის შესახებ. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის უახლოეს სხდომაზე შეიტანოს დადგენილების პროექტი, რომლითაც დაევალება მინისტრთა კაბინეტს საპრივატიზაციო ობიექტების სიაში არ შეიტანოს განათლების სისტემის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საწარმოო ობიექტები და სპორტული ნაგებობები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

გარეშე ძალები რომ არა...

სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტის, ჰუმანურ ინიციატივათა საერთაშორისო ფონდისა და „სამოქალაქო მშვიდობის“ ასოციაციის განცხადება

აფხაზეთში ომის ესკალაციას შეიძლება ტრაგიკული შედეგები მოჰყვეს რუსეთისათვის.

ამ ბოლო დღეებში აფხაზეთიდან მიღებული ცნობები მოწმობს იქ სამხედრო კონფლიქტის მკვეთრ ესკალაციას, რაც გამოწვეულია აფხაზ-ქართველთა ბრძოლაში რუსეთელ სამხედრო მოსამსახურეთა ჩარევის აქტებით. მოდის ინფორმაცია, რომ სუ-25 თვითმფრინავები, რომლებსაც რუსეთელი მფრინავები პილოტობენ, ბომბავენ სოხუმს, ილუპებიან მშვიდობიანი მცხოვრებლები, მოხუცები, ქალები და ბავშვები. ჩვენ არ ვიცით, ვინ მართავს აფხაზეთში რუსეთელ ჯარისკაცთა მოქმედებას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საქმე ეხება რუსეთის გარკვეული წრეების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრის — საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აშკარა ხელყოფას.

ეს პროვოკაციული მოქმედება მიზნად ისახავს გამოიწვიონ ქართველთა მხარის რეაქცია საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარების წინააღმდეგ, რათა შემდეგ გააღვივონ ანტიქართული განწყობილებანი რუსეთში და ამით ხელ-ფეხი გაუხსნან შემდგომ ფართო მასშტაბის მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ.

აფხაზეთში რუსეთელი გენერლების მოქმედებას, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ვერ აკონტროლებენ რუსეთის პრეზიდენტი და მთავრობა და ამან შეიძლება გამოიწვიოს დიდი ომი ამიერკავკასიაში, მისი გარდაუვალი გავრცელება ჩრდილოეთ კავკასიაშიც და რუსეთის სამხრეთშიც.

აფხაზეთის საომარ მოქმედებაში რუსეთელ სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობამ შეიძლება მხოლოდ გამოიწვიოს ანტირუსეთული, ანტირუსული განწყობილებანი საქართველოში და დიდი ხნით შეარყიოს რუსეთისა და საქართველოს მჭიდრო და მეგობრული კავშირურთიერთობანი. ამასთანავე მიზნად არის დასახული სახელი გაუტეხონ რუსეთის პრეზიდენტს როგორც შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს და ამით ქართველ ხალხს შეუქმნან შთაბეჭდილება, რომ სწორედ რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს ეკისრება პასუხისმგებლობა აფხაზეთში რუსეთის ჯარების პროვოკაციული მოქმედებისათვის.

ის, რაც აფხაზეთში ხდება, რუსეთის „ნაციონალ-პატრიოტული“ რეაქციის შურისგებაა საქართველოს ხალხის მიმართ 1989 წლის აპრილის ამბებისათვის, ყოფილი სსრ კავშირის იმ საგარეო-პოლიტიკური კურსისათვის, რომელიც მთელ მსოფლიოში განუყრელად უკავშირდება ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის სახელს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო პოლიტიკაში ძირეული შემობრუნების რეალიზაციას.

უკანასკნელი მოვლენები, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტში ჩათრეულ რუსეთელ ჯარისკაცთა დაღუპვის საფრთხეს ქმნიან, მოწმობს, რომ მათ რუსეთის რეაქციული წრეები თავიანთი დიდმპყრობელური, იმპერიული ზრახვების განხორციელების იარაღად იყენებენ. ნუთუ ამ წრეებს არ ესმით, რომ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მოქმედების წაქეზებით, ისინი ამით ქმნიან სამიშ პრეცედენტს, ნაღმს უდებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიულ მთლიანობას და ამრიგად აძლიერებენ იქ სამოქალაქო ომის დაწყების საფრთხეს?

სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტი, ჰუმანურ ინიციატივათა საერთაშორისო ფონდი და „სამოქალაქო მშვიდობის“ ასოციაცია მოუწოდებენ რუსეთის პრეზიდენტს ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს ყველაფერი იღონონ აფხაზ-ქართველთა კონფლიქტში რუსეთის ჯარების ჩარევის შეწყვეტისათვის, განახორციელონ აფხაზეთის ტერიტორიიდან მათი დაუყოვნებლივ გამოყვანის ღონისძიებანი და ამით სიკვდილს გადაარჩინონ რუსეთელი ჯარისკაცები, რომლებიც რეაქციულმა წრეებმა ჩააბეს რუსეთის ნამდვილი ეროვნული ინტერესებისათვის უცხო სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურაში.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ყველა პოლიტიკურ პარტიას, მოძრაობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რუსეთის ხალხს აღიმაღლონ პროტესტის ხმა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტში სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ, ხელი არ შეუშალონ მშვიდობიანი საშუალებებით მის მოგვარებას. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს თავი აარიდონ კონფლიქტში ჩარევას.

ჩვენ მოვუწოდებთ გუდაუთის აფხაზ ხელისუფალთ არ მიმართონ დახმარებისათვის რუსეთის ჯარებს, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობას — გამოიჩინოს მაქსიმალური თავშეკავება, არ მისცეს რუსეთის რეაქციულ ძალებს მისი პროვოცირების საშუალება.

ჩვენ ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ აფხაზეთის ყველა მცხოვრებს, მათი ეროვნების მიუხედავად, რომლებმაც ნათესავები და ახლობლები დაკარგეს ამ მძიმე ჟამს.

ჩვენ გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ აფხაზეთში დაზარალებულ რუსეთელ სამხედრო მოსამსახურეთა ნათესავებს.

ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შექმნილი სახალხო დიპლომატიის დამოუკიდებელი მისიის მონაწილენი, რომლებიც 1993 წლის თებერვალში იყვნენ ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონასა და თბილისში, დარწმუნდნენ: გარეშე ძალები რომ არ ერეოდნენ, მხარეები დიდი ხანია მიუსხდებოდნენ მოლაპარაკების მაგიდას და ეს კონფლიქტი მოგვარდებოდა.

სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტი; ჰუმანურ ინიციატივათა საერთაშორისო ფონდი; „სამოქალაქო მშვიდობის“ ასოციაცია.
მოსკოვი, 1993 წლის 17 მარტი.

გამოვთქვამთ მტკიცე პროტესტს!

თბილისის რუსი მოსახლეობის წარმომადგენელთა საქალაქო საგანგებო კრების მონაწილეთა განცხადება

ჩვენ, საქართველოს დედაქალაქ თბილისის რუსი მოსახლეობის წარმომადგენლები — საგანგებო საქალაქო კრების მონაწილენი — გულისწყრომით აღსავსე პროტესტს ვაცხადებთ აფხაზი სეპარატისტებისა და რუსეთის ანტიდემოკრატიული ძალების სახით მათი წამქეზებლების მხრივ მიმდინარე წლის 15 მარტიდან სოხუმში საომარი მოქმედების დანაშაულებრივი ესკალაციის წინააღმდეგ, რომლებიც იყენებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ფორმირებებსა და დამნაშავეთა ბანდებს საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის მოსასპობად.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, არ ვემტერებით აფხაზ ხალხს, ჩვენ ვერ შევურიგდებით გათავხედებულ აფხაზ სეპარატისტებს, რომლებიც ატერორებენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, ხელყოფენ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც თავის ისტორიულ საზღვრებში ცნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მსოფლიოს მეტმა წილმა სახელმწიფოებმა.

ხდება ტრაგედია, იღვრება სისხლი, იღუპებიან ადამიანები, ინგრევა ქალაქები და სოფლები, მიმდინარეობს ძმათამკვლელი ომი. დამცველთა რიგებში დაიღუპნენ და კვლავაც იღუპებიან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

საქართველოს უბოროტესი მტრები ამ ტრაგიკულ ჟამს ცდილობენ გამოიყენონ „რუსული ფაქტორი“. ყოველივე ამაში ჩანს რუსეთის რეაქციული ძალების ანგარებითი ინტერესები, რომლებიც ცდილობენ ყურადღება გადაიტანონ რეალური საფრთხისაგან, რომელიც შეექმნა ჯერ კიდევ მოუმძლავრებელ რუსეთის დემოკრატიას.

რუსეთის საინფორმაციო სამსახურების მიერ საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობის ფაქტების დანაშაულებრივი დაფარვა უნებურად მოგვაგონებს ავღანეთის ტრაგედიის გაშუქების სავალალო გამოცდილებას, კორეის ბოინგთან დაკავშირებულ ავბედით ინციდენტს, რომლის მოსპობის ფაქტს არ აღიარებდნენ მრავალი წლის მანძილზე, და მრავალ ამგვარ პროპაგანდისტულ ხრიკებს, რომლებიც წინასწარ ჩასაფუშავად არის განწირული.

ჩვენ არაერთგზის მივმართეთ რუსეთის პარლამენტსა და უმაღლესი თანამდებობის პირებს გაითვალისწინონ საქართველოს რუსი მოსახლეობის მოთხოვნები ჩვენი სამშობლოს — სუვერენული საქართველოს საქმეში ჩარევის შეწყვეტის შესახებ (კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანის შესახებ, რომლებიც ცინიკურად აცხადებენ სამშვიდობო ძალების როლის პრეტენზიას), დაამყარონ ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, მაგრამ ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

უფრო მეტიც, საქართველოში „რუსულენოვანი“ მოსახლეობის უფლებათა დაცვის აუცილებლობის შესახებ ყალბ ლოზუნგებს ამოფარებული რუსი ჰაბუკები რუსული ბომბებით ართმევენ რუსებს სოხუმში ცხოვრების უფლებას. დღეს სოხუმში, ხვალ?..

ჩვენ აღგვაშფოთებს ის ფაქტი, რომ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში მყოფი რუსეთის მხედართმთავრები უპრეცედენტოდ უგულებელყოფენ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მოთხოვნებს სოხუმში დაუყოვნებლივი შეხვედრის შესახებ.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოში რუსეთის ჯარების ჯგუფის მთავარსარდალს გენერალ რეუტს დაუყოვნებლივ გაემგზავროს სოხუმში და ბატონ შევარდნაძესთან ერთად პირადად შეისწავლოს რეალური ვითარება, იკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ალალმართალი ინფორმირებისათვის.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ამ ტრაგიზმით აღსავსე დღეებში, ბოლოს და ბოლოს, ყურად იღებენ ჩვენს ხმას და ხელს შეუწყობენ მშვიდობის დამყარებას საქართველოს მრავალტანჯულ მიწა-წყალზე, რაც როგორც ქართველი და აფხაზი, ისე რუსი ხალხების და საერთაშორისო გაერთიანების ინტერესებს შეადგენს.

1993 წლის 17 მარტი.

ჩამოვიდა ნორვეგიის ელჩი

17 მარტს თბილისში ჩამოვიდა ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში დაგფინ სტენსეტი. მისი ჩამოსვლის მიზანია გადასცეს რწმუნების სიგელები საქართველოს ხელმძღვანელობას. დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დამყარდა შარშან მარტიდან.

ჩამოსვლის დღეს ბატონი დაგფინ სტენსეტი მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ. საუბრის დროს განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები, ელჩს გადასცეს იმ დოკუმენტთა პაკეტი, რომლებიც საფუძველს უყრის საქართველოსა და ნორვეგიის ურთიერთობასა და თანამშრომლობას სხვადასხვა დარგში, კერძოდ, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის, ინვესტიციათა და მათი დაცვის, კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ ხელშეკრულებათა პროექტები. შეთანხმებანი საქართველოსა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროების კონტაქტების შესახებ ნორვეგიის მხარის მიერ მათი განხილვისა და შემდგომი ხელმოწერისათვის.

ელჩის ყოფნის პროგრამაში შედის შეხვედრა საქართველოს პარლამენტის სპიკერთან ვახტანგ გოგუაძესთან და პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წევრებთან, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოების დათვალიერება, თბილისის ღირსშესანიშნაობათა გაცნობა.

რწმუნების სიგელები გადაცემულია

18 მარტს ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოს რესპუბლიკაში დაგფინ სტენსეტმა რწმუნების სიგელები გადასცა საქართველოს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს. დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დამყარდა შარშან მარტიდან.

რესპუბლიკის პარლამენტის მიღებათა დარბაზში მიმდინარე სიგელების გადაცემის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თამაზ გამყრელიძე.

შემდეგ გაიმართა საუბარი, რომელშიც ვახტანგ გოგუაძემ ელჩს გააცნო ჩვენს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ვითარება აფხაზეთში. მან აღნიშნა, რომ აფხაზ სეპარატისტებს ზურგს უმაგრებენ რუსეთის გარკვეული რეაქციული ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ მშვიდობა ამ რეგიონში, და რომლებსაც სურთ ვითარების დესტაბილიზაცია საქართველოში.

პარლამენტის სპიკერმა ელჩს გადასცა ედუარდ შევარდნაძის მისალმება ნორვეგიის მეფისა და ქვეყნის ხალხისადმი, სადაც გამოთქმულია სურვილი განავითარონ და განამტკიცონ მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის მათი ხალხების საკეთილდღეოდ.

ბატონმა დაგფინ სტენსეტმა ნორვეგიის მეფის სახელით ყოველივე საუკეთესო უსურვა ქართველ ხალხს, პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. მან აღნიშნა, რომ ნორვეგიის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველო-ნორვეგიის ურთიერთობას და იმედოვნებს, რომ ნაყოფიერად განვითარდება იგი.

• • •

18 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მეუღლე ნანული შევარდნაძე სახელმწიფო მეთაურის რეზიდენციაში შეხვდა ნორვეგიის ელჩის მეუღლეს ქალბატონ სოლვეიგ სტენსეტს.

ჩვენ გვწამს...

ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის პრეზიდენტს ბატონ ემილიო კოლომბოს
ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ ანრე ლუის
ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის გენერალურ მდივანს ბატონ სერჟიო პისაროს

ძვირფასო მეგობრებო! დღეს საქართველოს რესპუბლიკა იმყოფება უმძიმეს მდგომარეობაში და ეს სიმძიმე ძირითადად განპირობებულია აფხაზეთში მიმდინარე საომარი ოპერაციებით.

თუ რამოდენიმე თვის წინ რუსეთის არმია მხოლოდ ეხმარებოდა აფხაზ ექსტრემისტებს და უხეშად ერეოდა საქართველოს საქმეებში, 1993 წლის 16 მარტიდან რუსეთის არმიის ნაწილები უშუალოდ მონაწილეობენ საომარ ოპერაციებში, თავადვე გადმოდიან შეტევაზე, ახორციელებენ ქ. სოხუმისა და მისი შემოგარენის ინტენსიურ დაბომბვას.

რუსეთის არმიის ამ ვანდალური აქციების შედეგად დაღუპულია 110 მშვიდობიანი მოქალაქე, დაჭრილია 1000-ზე მეტი ადამიანი, დანგრეულია 800-ზე მეტი სახლი, აღარაფერს ვამბობთ დახოცილ და დასახიჩრებულ მეომრებზე.

რუსეთის აგრესიას საქართველოში, რომელიც ანარეკლია მოსკოვში რეაქციული ძალების ბოლოდროინდელი გამარჯვებისა, თვალს ადევნებს ათეულობით უცხოელი დიპლომატი და ჟურნალისტი, რომელთაც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის რეალურობაში ეჭვი არ ეპარებათ.

ჩვენ ვთხოვთ ინტერნაციონალის ხელმძღვანელობას, რომ მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის, საქართველოს უძველეს და განუყოფელ ნაწილში — აფხაზეთში სისხლისღვრის შეწყვეტისათვის.

ჩვენ გვწამს, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფალთა მორალური და პოლიტიკური დავალება ხელს შეუწყობს რუსეთის აგრესიის აღკვეთას საქართველოში.

პატივისცემით
გიორგი ჭანტურია,
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე

17 მარტი, 1993 წელი.
ქ. სოხუმი.

„გირჩევ, ნუ აქცევ ზღუდევსა, შენს ზურგის მისაყუდევსა!..“



გიგლა ბარამიძე.

დავით გურამიშვილს შემთხვევით არ დავესესხე, რადგან ახე არასდროს ჰგავნებია გურამიშვილის ეპოქას საქართველოს დღევანდელი დღე. მაგრამ ამავე დროს არასოდეს ისე ახლოს არ ვყოფილვართ ყოველი ქართველის საუკუნეებგამოვლილ ნაღვაწ-ნაოცნებართან, როგორც დღეს...

სანამ ჩემს ნაფიქრალ-სატკივარზე შევჩერდებოდე, წინასწარ მინდა ვთქვა: — ჩემი პრინციპი — მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპია.

„დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ არ ჩავთვლით ყველა დანარჩენ ფორმას, რომლებიც კიდევ უარესია“ — უინსტონ ჩერჩილის ამ საკმაოდ მახვილ ნათქვამში, მართლაც თავისებურად არის დანახული მმართველობის აღნიშნული ფორმა, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ათენის დემოკრატიიდან მოყოლებული დღემდე, კაცობრიობამ უკეთესი ფორმა ვერ გამოიმუშავა, ალბათ ამიტომაც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი 11 ოქტომბერი, როგორც ახალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ცხოვრებისაკენ გადებული ხიდი, მაგრამ ბეწვის, ჯერაც საშიშად მოქანავე და არამყარი.

„კადრები სახელმწიფოს ხერხემალია“...

ვფიქრობ არა აქვს მნიშვნელობა როდის ან ვის მიერ ითქვა ეს ყველასათვის ცნობილი ფრაზა. დღეს, როდესაც სრულყოფილებისა და პროფესიონალიზმის ეპოქა მოვიდა, ღირსეული კადრების პრობლემა, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესია. ჩვენც, ახალგაზრდებიც ხშირად ვფიქრობთ ამაზე, ვხედავთ შეცდომებს, საორჭოფო დანიშვნებს, მაგრამ ამავე დროს ვგრძნობთ იმ ტენდენციებსაც, რომელიც წინსვლის ორიენტირი უნდა გახდეს.

თანამდებობაზე მოსვლა, მთავრობის სამსახურში ჩადგომა, თუნდაც პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა, უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი მოწოდების, სულიერი არჩევანის გამო და არა პირადი კეთილდღეობის მიზნით. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კადრების შერჩევა სელექციის, დაწინაურების არანაირი მწყობრი სახელმწიფოებრივი სისტემა არ არსებობს. აშკარად იკვეთება ისიც, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე პიროვნება ინიშნება, ნაუცბადევად, სახელდახელოდ, რომელიღაც ჯგუფის, თუ პარტიის პრეტენზიების დროებით დასაკმაყოფილებლად. მაგრამ სიტუაციის განმუხტვისათვის ხშირად გამართლებულ ასეთ ტაქტიკურ სვლებსა და მანევრებს გამონაკლისის სახე უნდა ჰქონდეს. ან კიდევ ყოველთვის როდია აუცილებელი დეპუტატობის უფლებამოსილების მოხსნით სხვა თანამდებობაზე გადაადგილება. იყო ხალხის რჩეული პარლამენტში, ვფიქრობ, ნებისმიერ თანამდებობაზე უფრო მნიშვნელოვანია და როდესაც მასზე უარს ამბობ სხვა სამუშაოზე გადასვლით, ეს გაუგებარია. მეტიც, ზოგჯერ არაჯანსაღ მითქმა-მოთქმასაც იწვევს თვით ამომრჩევლებში. ასე რომ, პარლამენტი არ უნდა იყოს პასუხისმგებელ თანამდებობაზე მისვლის აუცილებელი წინაპირობა. ამავე დროს, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ არის ცხოვრებისეული გამონაკლისები, როდესაც უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე სწორედ დეპუტატი უნდა გაიგზავნოს.

ალბათ ურიგო არ უნდა იყოს, თუკი უფრო მეტი ყურადღება მიექცევა პასუხისმგებელი კადრების ზნეობრივ, მოქალაქეობრივ სახეს, რადგან განსაკუთრებით ახალგაზრდობას სჭირდება ნამდვილი მისაბაძი მაგალითი.

მხოლოდ პროფესიონალიზმი უნდა იყოს ნებისმიერი ჩვენი მოქალაქის ადამიანური ცხოვრების გარანტი და არა ტოტალური სწრაფვა თანამდებობისაკენ. თორემ ისევ აგვიხდება ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში ნათქვამი ჟამთააღმწერლის სიტყვები: — „რამეთუ განძლეს და იშუებდეს, უწესოებად მიდრკეს სიძვათა და მთვრალობათა შინა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არაყოფის ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“.

„ახალგაზრდობის დაძაბუნება იმასვე ნიშნავს, რასაც წლის დროთაგან გაზაფხულის გაქრობა“...

ამ მშვენიერი პოეტური შედარებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რომ სავსებით უპერსპექტივოდ გამოიყურება სახელმწიფოს წელმაგრობა დაუნჯებული ახალგაზრდული პოლიტიკის გარეშე, ეს ცხადზე ცხადია. იგი იმ ქვაკუთხედად მესახება, რომელიც სახელმწიფოს მშენებლობაში დიდ შენობაში უნდა ჩაიქიროს. გამოთქმა „ახალგაზრდული პოლიტიკა“ ნურც დაგვაფრთხობს, ნურც ძველ დროს გაგვახსენებს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს ზრუნვას შენი ქვეყნის ახალგაზრდებზე ერთიან სახელმწიფო-სამთავრობო დონეზე, ხოლო თუ ევროპარლამენტის დოკუმენტებს გამოვიყენებთ — კანონების, პროექტების, რეფორმების პაკეტების მიღებას ახალგაზრდობის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ხომ არ ბრკოლდება აღნიშნული საკითხი ჩვენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებში? ამ კუთხით ჩვენ უმნიშვნელოვანესი პროექტი გვაქვს შესამუშავებელი, რომელმაც უნდა განსაზღვროს უახლოესი წლების ახალგაზრდული პრობლემები და მისი გადაჭრის ტენდენციები. საქართველოში, მარტო ბოლო ორ წელიწადში გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის სხვადასხვა სოციალური ფენა, განსხვავებული ფსიქიკით, ცხოვრების წესითა და ფილოსოფიით. ეს ის ხალხია, რომლებიც განურჩევლად იმისა, დაინტერესდებიან თუ არა შემდგომში პოლიტიკით, ნებით თუ უნებლიეთ, როგორც საზოგადოების წევრები, მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის განვითარებაში. ამდენად სახელმწიფომ აუცილებელია ცნოს აღნიშნული ცვლილებები ახალგაზრდულ სამყაროში, ხოლო რომ ცნოს, უნდა იცნობდეს ყველა იმ ფენას და, რაც მთავარია, უნდა შემუშავებული ჰქონდეს მათთან თანამშრომლობის (პოლიტიკურ ასპექტს არ ვგულისხმობ) გარკვეული პროგრამული საფუძვლები. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად იკვეთება ახალგაზრდობასთან ახლებურად ურთიერთობის არ ცოდნის, ან ვერ მოცლის ტენდენციები, რომელმაც შესაძლოა ფრიად სავალალო შედეგი მოიტანოს. იმედის მომცემია რესპუბლიკის მეთაურის ამასწინანდელი შეხვედრა ჩვენი ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფთან და ამის შედეგად საერთაშორისო ახალგაზრდული ფონდის დაფუძნება, მაგრამ რატომღაც მაინც უკმარისობის გრძნობა მეუფლება.

მომავლის ხედვა

ერთი სიტყვით, სპეციალისტების მოხმობით პარლამენტში შესაქმნელია დოკუმენტი ან წინადადებათა პაკეტი საქართველოს რესპუბლიკის ახალგაზრდობის შესახებ კანონის მისაღებად, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სასურველია ყურადღება მიექცეს შემდეგსაც:

ა) ახალგაზრდობის უფლება და არა ვალდებულება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე.

ბ) ღია ბაზრის პირობებში ახალგაზრდობის სოციალური დაცვის მექანიზმი. (უმუშევრობის პრობლემების გათვალისწინებით).

გ) ბიზნესი და ახალგაზრდობა (მეწარმეობისათვის ხელის შეწყობა, სახელმწიფო დაბეგვრიდან დროებითი განთავისუფლება ან მინიმალური დაბეგვრა).

დ) ახალგაზრდული ოჯახების ხელშეწყობა.

ე) ახალგაზრდობის ახალი სოციალური ფენისა და ტიპის ფორმირება (მსოფლმხედველობრივი ცვლილებები, ღირებულებათა გადაფასება, მკვეთრი მატერიალური დიფერენციაცია).

ვ) — ახალგაზრდობა და უცხოეთი (ეკონომიკური მოსაზრებით ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილის ლტოლვა უცხოეთში სამუდამოდ დაფუძნებისათვის... საქართველოში პირობების შექმნა იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სხვადასხვა დროს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაფუძნდნენ, განსაკუთრებით რუსეთში, და დღეს სურვილი აქვთ საქართველოში დაბრუნებისა).

ზ) მეცენატობა (სამთავრობოსთან ერთად კერძო სტრუქტურების მიერ თავიანთი ხარჯზე უცხოური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებში ნიჭიერი, მაგრამ ნაკლებადუზრუნველყოფილი ოჯახებიდან ახალგაზრდების გაგზავნა).

თ) ახალგაზრდული მეცნიერება (ღია ბაზრის საწყისი ეტაპისათვის ახალგაზრდული მეცნიერებისა და გამომგონებლობის განსაკუთრებული ეკონომიკური მხარდაჭერა).

ი) სკოლა და უმაღლესი (ტრადიციული დამოკიდებულების რღვევა).

კ) მასობრივი სპორტი და ახლადფორმირებული ახალგაზრდული სტრუქტურების მასთან კავშირი.

ლ) სახელმწიფოს მორალი, ზნეობა როგორც ახალგაზრდულ ყოფასა და აზროვნებაზე გავლენის მომხდენი.

ლუჩიანო, ალ-კაპონე — ანუ ქართული მაფიის შესაძლო „პერსპექტიული ვარიანტი“ ოჯახურ ინტერიერში?

ზემოთდასახელებული მხოლოდ გახმაურებული ამერიკული ფილმების კინოპერსონაჟები როდი არიან. ისინი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საკმაოდ ცნობილი ისტორიული პირებიც იყვნენ. პროფესიით განგსტერები, უფრო ზუსტად მაფიოზური განგსტერული სინდიკატსახელმწიფოების ბატონპატრონნი. სურვილმა არ გამახსენა მათი თავი და ნაავკაცარი. ის, რაც თავის დროზე ევროპის, შეერთებული შტატების, სამხრეთ ამერიკის, აზიის და სხვა ქვეყნების დანაშაულებრივმა სამყარომ გაიარა, ადვილი შესაძლებელია ჩვენს რესპუბლიკაშიც სხვადასხვა მასშტაბითა და გარკვეული სახეცვლილებით დაიდოს ბინა. ამდენად თუ კი გვსურს ჩვენში ავბედით მეტასტაზებად მოდებულ ორგანიზებულ დანაშაულს გარკვეული პროცენტით მაინც წინ აღვუდგეთ, აუცილებელია მისი ფესვების საწყისის გამოწვლილვითი ძიება.

მაინც როდიდან იწყება დანაშაულებრივი სამყაროს ორგანიზებულ ძალად ჩამოყალიბება, მე-20 საუკუნის გარიჟრაჟიდან, როდესაც მოხდა იტალიური მაფიის ექსპორტი აპენინის ნახევარკუნძულიდან ამერიკის კონტინენტზე თუ გაცილებით ადრე? ორგანიზებული დანაშაული (იტალო-ამერიკული განგსტერული სინდიკატები; სამხრეთ ამერიკული კარტელები, ჩინური და ტაილანდური მაფია, იაპონელი იაკუძები, რეკეტი) დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეებში ჩაისახა.

პირადად მე ამ სამი წლის წინ არაერთხელ აღმინიშნავს პრესითა თუ ტელევიზიით, ტოტალიტარული რეჟიმის რღვევისა და ღია ეკონომიკური ბაზრის ფორმირებას აუცილებლად მოჰყვება დანაშაულებრივი სამყაროს მოდერნიზება, ორგანიზაციული მრავალფეროვნება; მისი წევრების საგრძნობლად გაახალგაზრდავება, ეკონომიკურ-ტექნიკურად მომძლავრება, მათი გავლენის სფეროების გაზრდა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოებრიობა, ასევე სახელმწიფო სტრუქტურები, აღნიშნულ ურთულეს სოციალურ მოვლენას (ისევე როგორც თავის დროზე ნარკომანიას) ერთგვარი ზედაპირულობით მოექცა... და შედეგმაც არ დააყოვნა.

თუ ჩვენში ორგანიზებულ დამნაშავეობას შექმნა დაახლოებით ისეთივე წინაპირობები, როგორიც მათ ევროპელ, აზიელ თუ ოკეანისგაღმელ „კოლეგებს“ (არადა, საქმეს ჯერჯერობით ასეთი პირი უჩანს), მიუხედავად ქვეყნების მასშტაბისა თუ განსხვავებული ეროვნული თავისთავადობისა, მეტნაკლები მსგავსებით მათ შემოსავლის დაახლოებით შემდეგი წყაროები უნდა ჰქონდეთ: რეკეტიდან შემოსული თანხები, წილი წვრილი და მსხვილი კერძო სტრუქტურებიდან, აზარტული თამაშები, ნარკოტიკები, „გასართობი“ სახლები, იარაღით ვაჭრობა, ადამიანებით ვაჭრობა, შეკვეთით მკვლელობა, ბანკებში სხვადასხვა ოპერაციებით სოლიდური თანხების „გასუფთავება“... აქედან გამომდინარე კი ათწლეულების მანძილზე განვითარების სტადიები, ჩანასახიდან ურთულეს კონგლომერატამდე... ახლა სტადიებიც ვნახოთ (იქნებ გვეცნოს!) პირველი სტადია — ქურდობა, მეორე — ორგანიზებულ ჯგუფებად გაერთიანება, მესამე — შეიარაღება, მეოთხე — ტერიტორიების დანაწილება, წილები, რეკეტი, მეხუთე — ერთმანეთში გავლენის სფეროების გაფართოებისათვის ომი. მეექვსე — კონტაქტების დამყარება. მეშვიდე — მსხვილი ბიზნესით დაინტერესება და საჩვენებელი ქველმოქმედება. მერვე — პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით დაინტერესება. მეცხრე — დაახლოებით უკანასკნელი სტადია — ცდები მსხვილ კანონიერ ბიზნესში შეღწევისა, როდესაც თავად რესპექტაბელურ ბიზნესმენებს ემსგავსებიან და სულ უფრო ძნელი ხდება ზღვრის გავლება მათ არაკანონიერ და კანონიერ საქმიანობას შორის.

საქართველოში განსაკუთრებით ბოლო პერიოდის განუკითხაობამ, დანაშაულებრივი სამყაროს ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა, ამდენად მათ ათწლეულობით გასავლელი სტადიების რამდენიმე ეტაპი ორსამ წელიწადში „აითვისეს“. ასე რომ „ჩვენები“ გარკვეული სახეცვლილებით ახლა განვითარების მეექვსე სტადიაში უნდა იყვნენ. ღმერთმა ნუ ქნას, მიეცეთ მათ იმ მონსტრად გადაქცევის საშუალება, რაც ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა. მაშ რა გზას დავადგეთ, რა დავუპირისპიროთ? როგორ ვებრძოლოთ? მხოლოდ რეიდების გააქტიურებით? რა თქმა უნდა საჭიროა. მაგრამ ამის ამარა ყოფნა წამგებიანია. შტატიანი თუ უშტატო აგენტურის ქსელის გაფართოებით? ხელმძღვანელი კადრების გაუთავებელი ცვლილებებით და სხვა? უპირველეს ყოვლისა პროფესიონალიზმით. და კიდევ ერთხელ პროფესიონალიზმით, რაც ითვალისწინებს ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც იქცევა მყარ გზად დანაშაულის, როგორც ურთულესი სოციალური ფენომენის წარმოშობის მიზეზების კვლევის, ფიქსაციის, კონტრმეთოდების წამოყენების, შემდეგ კონტროლისა და ლოკალიზების, და მხოლოდ ამის შემდეგ ჭეშმარიტი მუშაკების მოზიდვით, ტექნიკური აღჭურვილობის გამრავალფეროვნებით, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებით, სტრუქტურული რეორგანიზაციით, ინტერპოლის გამოცდილების გაზიარებით, უცხოეთის ძლიერ ცენტრებში ახალგაზრდა სპეციალისტების გაგზავნით და სხვა.

იქნებ დადგა დრო განიხილულ იქნას ჩვენში ნარკომანიის ნაწილობრივი ლეგალიზაციის საკითხი, ისე როგორც ეს უკვე ათწლეულობით ხაკმაოდ წარმატებით ხორციელდება ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

(დასასრული მე-8 გვ.).

ქართველო, ხელი ხმალს იკარ!..

და მე ვყვირი: აფხაზეთი ჩემი!..

გავერთიანდეთ, დავირაზმოთ!

მხარდამხარ

ჩვენს მიწა-წყალს გვიდავებიან. საქართველოს მშრომელებმა იციან, რომ აფხაზეთის ომი ინსპირირებულია რუსეთის რეაქციული ძალების მიერ. მათ უნდათ მიიტაცონ ქართული მიწები და აიძულონ ქართველები დატოვონ მშობლიური კუთხე. ამას დაუფარავად აცხადებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. როგორც ჩანს, მან გუდაუთში თავის შეიარაღებულ შენაერთებს მისცა მითითება, თუ როგორ წარიმართათ ომი სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ.

ხალხს კარგად ესმის, რომ მცირერიცხოვან აფხაზ მოსახლეობას არა ჰყავს იმდენი მებრძოლი, რომ ასეთი საომარი ოპერაციები წარმართონ საქართველოს წინააღმდეგ. ახლა უკვე ცხადია, რომ რუსეთის შეიარაღებული ნაწილები აშკარად, დაუფარავად გვებრძვიან, თანაც თანამედროვე საბრძოლო ტექნიკას იყენებენ. ფაქტია, რომ არც ცხვენიათ და არც მსოფლიოს საზოგადოებრიობას უწევენ ანგარიშს.

ერთი სიტყვით, ნამდვილი ომია საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს მოქალაქეს ეს ომი სრულებითაც არ აღარდებს, ზოგი ძარცვა-გლეჯით არის გართაცებული, ნაწილი იარაღით ემიება მშობლიურ ხალხს, სხვები კი უმოქმედობით მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს.

მხოლოდ გაერთიანებით, საერთო ძალისხმევით შევძლებთ თვითმყოფადობის შენარჩუნებას, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ჩემი აზრით, კარგს იზამს საქართველოს პარლამენტი, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის, ევროპის, აზიის ქვეყნების მთავრობებს მიმართავს მოწოდებით, რომ ხმა აღიმაღლონ რუსეთის შავბნელი ძალების წინააღმდეგ. დაიცვან დემოკრატიული, დამოუკიდებელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნის — საქართველოს რესპუბლიკის ინტერესები.

ნიკოლოზ ნაცვლიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, პენსიონერი.

თქვენ გენაცვალეთ...

ათი სიცოცხლე რომ მქონდეს, ათივეს ჩემს ტანჯულ საქართველოს შევწირავდი. მაგრამ ვაი, რომ ერთი სიცოცხლითაც ვერას ვარგივარ, რადგან მხრებზე 80 წლის სიმძიმე მაწევს. ღმერთმა ამ უთანასწორო ბრძოლაში არც ძე შემარჩინა, რომ სამშობლოსთვის შემეწირა, მაგრამ ყველა, ვინც საქართველოს მთლიანობისთვის იბრძვით, ვინც გადამთიელებს მამაცურად იგერიებთ, განა ჩემი შვილები არა ხართ?

თქვენ გენაცვალეთ, ჩემო ვაჟკაცებო, ჩემო შევარდენებო. ლომისის მადლი გფარავდეთ მუდამ!

მტერმა არ იცის ვისი გორისანი ხართ, თორემ ამდენს ვერ შემოგბედავდნენ... მტერმა არც ის იცის, რომ ქართველები უდანაშაულოდ დაღვრილ მოძმეთა სისხლს არავის შეარჩენენ, ქართული მიწის ერთ გოჯსაც უსისხლოდ არ დათმობენ.

სჯობს გადამთიელები დროზე მოეგონ გონს, თორემ ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!

მარიამ არაგული.

რწმენა და სიმტკიცე!

ღმერთმა ინება და ერმა იმძლავრა, სოხუმი ვერ აიღეს, თუმცა ვანდალურად დაანგრიეს გრაჩოვის ყორნებმა. „სოხუმს მაგათ არავინ მისცემს“, — განაცხადა რადიოში ჯუსო მარგიშვილმა, და იმედი მოგვეცა: მთავარსარდალი ყველა ღონეს ხმარობს. მტერმა ვერ უნდა გაიხაროს.

რამდენიმე დღის წინ, როცა სოხუმის შტურმი მზადდებოდა, ყოველ საქმეში უნიჭო და უბადრუკმა იური ვორონოვმა დაგვჩხავლა: „სამიოდე დღეც და საქართველოს რესპუბლიკისგან ქვა ქვაზე არ დარჩებაო“. გესმით, ხალხნო, ასეთი რამ მურვან ყრუსაც არ უთქვამს. ვორონოვს ყველა საფუძველი აქვს იავსიტყვოს ქართველთა წინააღმდეგ. მას ვილა აუშენეს სოხუმში, მან მოსკოვში გამოსცა უბადრუკი ბროშურა „აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლები“, სადაც ყველა ჩვენი ტაძარი აფსუების საკუთრებად და მათი სამშენებლო გენიის ქმნილებად გამოაცხადა.

მძიმე ჟამია. ყველა ჯურის გადამთიელი გვესევა და აფთრის კბილებს გვიჩვენებს. ვისაც ასეთ დროს არ სწამს ლაზარეს აღდგინების სიმბოლური არსი, მას არც პოლიტიკისა ვაეგება რამე, არც ისტორიისა და არც ერისა.

შილერი წერდა: „უნდა გწამდეს, უნდა იყო გაბედული! განსაცდელში არ სჩვევიათ შველა ღმერთებს. მხოლოდ სალი, საოცარი, სავსე გული გამარჯვების წინდა მხარეს შეგვაერთებს“.

უნდა მოვუსმინოთ „კაცობრიობის ვექილებს“, უნდა ჩვენს დროშაზე წავაწეროთ ბიბლიური ფორმულა: „რწმენა და სიმტკიცე, სიბრძნე და ძლიერება“. დიახ, ზრახვა და სიმტკიცე...

კვლავ მოგიწოდებთ საქართველოს ერთობლივი ქვეყნის ყოველ ღირსეულ შვილს — სვანს, მეგრელს, კახელს, იმერელს, აჭარელს, მესხსა და ქართლელს — ქუდზე კაცი გამოვიდეს, დადგეს „იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი“... ჯერ გადავარჩეთ და მერე ვიდავოთ.

აკაკი გელოვანი.

გუშინდელი სარედაქციო ფოსტიდან

ერი დაუყოვნებლივ უნდა გამთლიანდეს!

დღეს აფხაზეთში წყდება ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი. სასწორზეა საქართველოს ბედი.

ნამდვილი კატასტროფის წინაშე მდგომ ერს ამ მძიმე ვითარებაში დიდი გონიერება მართებს. სამარცხვინოა, რომ ამ განსაცდელის ჟამს ისევ გრძელდება საქართველოში მკვლელობა, თავდასხმები, მატარებლებისა და ავტომანქანების ძარცვა, ხიდებისა და რკინიგზების აფეთქება.

გონს მოვეგოთ, ხალხნო! სრულად გავიცნობიეროთ ის განსაცდელი, რაც თავს დაგვატყდა. დღეს ყველამ უნდა დავივიწყოთ პირადი წყენა. ერი დაუყოვნებლივ უნდა გამთლიანდეს. ყოველგვარ ძალისხმევას უნდა მივმართოთ, რათა საქართველოს მომავალი გადავარჩინოთ!

დ. გამზარდია,
ვეტექიმი.

გადავარჩინოთ ნატანჯი საქართველოს მიწა...

აუტანელ განსაცდელშია საქართველო. აფხაზეთის გაუმართლებელმა ომმა დაგვავიწყა ცხოვრებისეული პრობლემები. ომი — ეს საშინელი და შემზარავი სიტყვა ჩაგვესმის ყოველი მხრიდან...

განა შეიძლება შეძრწუნებული არ იყო, როცა ათობით და ასობით ახალგაზრდა სიცოცხლე ეწირება მოტყუებული აფხაზისა და რუსი ჯარისკაცის დაუნდობელ ტყვიას. უკვე აშკარაა რუსეთის იმპერიული ძალების აგრესია საქართველოსადმი. ეს კი ორმაგად ამძაფრებს საომარ მოქმედებას და აჭიანურებს ისედაც დაუსრულებელ ომს.

დროა ქართველებმა გამოვიჩინოთ ჩვეული გონიერება, გავმთლიანდეთ, დავირაზმოთ საერთო მტრის წინააღმდეგ, არ დავზოგოთ ძალა, შესაძლებლობები და იქ, გვერდით დავუდგეთ ჩვენს მებრძოლ ძმებს და ერთობლივად დავიცვათ და გადავარჩინოთ ნატანჯი საქართველოს მიწა.

ნინო კობახიძე,
პედაგოგი.

არ დავთმობთ!

ეს რა დროს მოვესწარით! საცაა საკურორტო სეზონი დაიწყება, აფხაზეთი კი იწვის, სისხლით ირწყვება...

ეს როგორ მოხდა, ერთ მიწაზე დაბადებულმა აფხაზმა და ქართველმა ერთმანეთი რომ გაიმეტა, რუსმა ქართველებს რომ ესროლა....

ყველაფერს დრო გაარკვევს, თავის სახელს დაარქმევს. ახლა კი ყველა, ვისაც საქართველო გულით გვიყვარს, უნდა გავერთიანდეთ, ერთ მუშტად შევიკრათ მის გადასარჩენად. მტერს, ქურდულად შემოპარულ თუ ჯიქურად მოჭრილ მტერს კუდით ქვა ვასროლინოთ, მსოფლიოს დავუმტკიცოთ, რომ თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეორის ჯიში არ გადაშენებულა. მტერს ქართული მიწის არც ერთ გოჯს არ დავუთმობთ!

ლევან იმედაშვილი.

„გირჩევ, ნუ აქცევ ზღუდეებსა, შენს ზღუდის მისაქცევებსა!..“

(დასასრული)

ნურავის ეგონება, რომ სიტყვა „ლეგალიზაცია“, ნიშნავს ქუჩებში ან მაღაზიებში მარჯვნივ და მარცხნივ ნარკოტიკების გაყიდვას... პირიქით, ამ შემთხვევაში ხორციელდება ფართომასშტაბიანი პროგრამა. პირველი — შესაძლებელი ხდება დიფერენცირება ნამდვილი ნარკომანისა მოხალისისაგან, მეორე — ხდება ნარკომანების ზუსტი აღნუსხვა და კონტროლი (კონტროლი არა დაჭერის, არამედ დროული სამედიცინო ჩარევის კუთხით). მესამე — მინიმუმამდე მცირდება სისხლის სამართლის დანაშაული ნარკოტიკის მოპოვების მიზნით. მეოთხე — რადგან საქართველოში ნარკოტიკები ძირითადად შემოაქვთ რესპუბლიკის ფარგლებს გარედან, მინიმუმამდე შემცირდება ამ მიზნისათვის ჩვენგან ყოველდღიურობით გასული ათეული მილიონობით თანხა. მეხუთე — მაქსიმალურად ეკეტება გამდიდრების წყარო იმ არაკეთილსინდისიერ მუშაკებს ოფიციალური ორგანოებიდან, რომლებიც თვალის დახუჭვის მიზნით ხელს ითბობენ, რაც თავისთავად კორუფციის წყაროა. მეექვსე — დრომ მოიტანა ჩვენშიც შეიქმნას თანამედროვე ლაბორატორიები იატაკქვეშ მიღებული ნარკოტიკების ახალი სახეობის შემოწმებისა... მოსაფიქრებელია „გასართობი სახლების“, ეგრეთწოდებული სარისკიპოების საკითხის დროული მოწესრიგების პრობლემაც, ვიდრე იგი განსაკუთრებით მახინჯ ფორმებს არ მიიღებს.

„სჯობს საქმე უხმოი სიტყუასა უსაქმოსა“...

მინდა კონკრეტული მოსაზრებები გამოვთქვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებისადმი ჩვენს თანამოქალაქეებს, პარლამენტის თითოეულ წევრს, მთლიანად პარლამენტს, თავისი დამოკიდებულება გააჩნია.

დავდოთ თუ არა რუსეთთან ხელშეკრულება? თავად გამოთქმა „მეგობრული ხელშეკრულება“, რომელიც კომპეტენტური პირთა მხრიდან პერიოდულად გაისმის პრესასა თუ ტელევიზიაში, უხერხულობის ელემენტს შეიცავს, რადგან კაცობრიობის დასაბამიდან მსოფლიო პოლიტიკურმა ტერმინოლოგიამ მსგავსი ტერმინი არ იცის (თუმცა სხვათათვის არც „კარვის ქალების“ არსი უნდა იყოს გასაგები). ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების დადების ან მისთვის მზადების ეტაპები თავის თავში უკვე გულისხმობს კეთილი დამოკიდებულების ფაქტს.

ვფიქრობ დღეს დრო, ცოდნა და ენერგია იმაზე კი არ უნდა ვხარჯოთ, დავდოთ თუ არა ხელშეკრულება (რადგან მრავალ მიზეზთა გამო, გვინდა ეს თუ არ გვინდა, ამ რეალურ პოლიტიკურ ფაქტს ურჩი ბუტიაობით ხელი არ უნდა ვკრათ), არამედ იმაზე, შევიმუშაოთ ისეთი პროექტი, რომელშიც ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხებთან ერთად საერთაშორისო დონეზე დამცავი მექანიზმებიც იქნება ჩადებული. სავსებით შესაძლებელია ხელშეკრულების დოკუმენტების განხილვისას და თავად პროცესის დროს მოწვეულ იქნან გაეროს ექსპერტები. დოკუმენტების ხელმოწერამდე აფხაზეთიდან უპირობოთ გაყვანილ იქნან რუსული შენაერთები და აღდგენილი იქნას დარღვეული საქართველო-რუსეთის საზღვარი ლესელიძეში. ამ იურიდიულად, აგრეთვე მორალურად სამართლიანი მოთხოვნის შემდეგ უნდა მიეცეს სახელშეკრულებო პროცესებს მწვანე გზა, უმნიშვნელოვანეს პუნქტებად დოკუმენტში სამაჩაბლოს პრობლემა და რამდენიმე წლის მანძილზე, ჩვენი ტერიტორიიდან უცხოტომელთა ჯარების გაყვანა უნდა აისახოს...

შევიარაღდეთ თუ განვიარაღდეთ, იარაღი ავისხათ თუ?

ამ საკითხთან დაკავშირებით ციებ-ცხელებამ უხერხული ელფერიც კი მიიღო. არსებობს ცალსახა პასუხი. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანს სხვა უფლება-ვალდებულებებთან ერთად აქვს უფლება ჰქონდეს თავდაცვის საშუალებად გარკვეული იარაღი. მაგრამ მოდით ამ კანონის ცხოვრებაში გატარებამდე გარკვეული დროით (თუნდაც მცირედით) მოვითმინოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება პრობლემები, რომელთა გადაჭრა ვფიქრობ, ჯერ არ ხელგვეწიფება. კერძოდ: ა) როდესაც ასე ძნელად მიდის განიარაღების პროცესი, კანონი იარაღის დაკანონებაზე მეტ სირთულეებს შექმნის. ბ) იარაღის დაკანონების შემთხვევაში იმ მოქალაქეებმა რა ჰქნან, ვისაც იარაღი სულ არა აქვს და სურვილის შემთხვევაში უნდა შეიძინოს? სად? თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს იარაღი (თუნდაც მცირე კალიბრის) თავადაც არ ჰყოფნის ე. ი. უნდა იყიდოს, საიდან, ვისგან ან როგორ? ჩვენ იარაღს ჯერ არ ვაწარმოებთ. ე. ი. უნდა შექმნას სახელმწიფომ სტრუქტურები, რომლის კომპეტენციაშიც. შევა უცხოეთში იარაღის ყიდვის, რესპუბლიკაში შემოტანის და რაც ყველაზე ძნელად მეჩვენება, მყიდველისთვის მისი მიწოდების ამოცანები.

არის სხვა ტექნიკური ნიუანსებიც გასათვალისწინებელი. ამდენად ვფიქრობ, ნუ ვიჩქარებთ ამ საკითხში (თუმც იგი მომავლის პერსპექტივაში ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ცივილიზებული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი) და ჩვენი და ჩვენი ოჯახების უსაფრთხოება ისევ პოლიციას მივანდოთ. ღმერთმა ქნას იმედი გაგვიმართლონ.

„ჩემი თბილისი და...“

საქართველოში დემოკრატიული წესრიგი, საბაზრო ეკონომიკის აღორძინება მისი გულიდან, თბილისიდან უნდა დაიწყოს. ამ კუთხით კატასტროფული მდგომარეობა ბოლო პერიოდის ერთგვარმა სასიკეთო ძვრებმა შეცვალა, რამდენად სტაბილური იქნება ეს დღეს, ძნელი სათქმელია, მაგრამ თბილისის იერსახის აღდგენა თავისი კოლორიტით, ტრადიციით, მოქალაქეობრივი პრინციპებით, ეკონომიკური სიჯანსაღით, არა მხოლოდ ჩვენი თანამოქალაქეების, მთელი საქართველოს საოცნებო უნდა იყოს. ამას მერწმუნეთ ვიწრო „ქალაქური პატრიოტიზმი“ არ მალაპარაკებს. თბილისელობა უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებლობა, მძიმე ტვირთია, მისი ზიდვა ყველას როდი ხელეწიფება. დედაქალაქი ყოველთვის იყო ჩვენი საყვარელი კუთხეების ყოველივე კარგის შემსრუტავი, თავისებურად გადამხარშავი, ეს ის წყარო იყო, რომლითაც იკვებებოდა თბილისური სილაღე, სიხალისე, გულითადობა, სხვანაირად რომ ვთქვათ საქართველოს უმშვენიერესი კუთხეებიდან მოდენილი სულიერი ენერგიით ივსებოდა ჩვენი დედაქალაქი. სამაგიეროდ კი თავისებურ სითბოს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გულითადობით უბრუნებდა უკან. დღეს ეს ციკლი დარღვეულია. აღარ გვეცნობათ ჩვენი ქუჩები, რადგან იქ მოსიარულე ადამიანებს ვერ ვცნობთ. და ეს არ არის იშვიათი გამონაკლისი. გესმის ქართული, მაგრამ ეს არც თბილისურია, და არც თბილისში ჩამოსული სხვა კუთხის ქართველის, აჭარელის, გურულის, მეგრელის, კახელის, სვანის, მესხის, აფხაზის, იმერელის ქართული. რაღაც გაურკვეველი ქართულია არა თბილისური, არც კილო კავიანი, რაღაც უნიადაგო, უფესვო მდაბიური ქართული და გამოხედვაც ასეთი. თავის დროზე... თბილისის ინტელიგენცია აქ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთა შვილებმა შეადგინეს, ხოლო თბილისურმა ცხოვრების წესმა სანაცვლოდ გარკვეული დადებითი გავლენა იქონია მათზე. ამ ურთიერთგამაწონასწორებელი ეტაპების სხვადასხვა ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო მოშლამ მეტად მახინჯი სახე მიიღო. ჩვენ სახე დავკარგეთ, ის სახე, რომლითაც ჩვენს თანამოქალაქეებს მიხვრა-მოხვრით, საუბრით, სიცილით ასიათასისაგან გამოარჩევდი. საუბარით კი არა და ფეხბურთის თამაშით მიხვდებოდი მოთამაშე ვერელი იყო თუ ვაკელი, საბურთალოელი თუ სოლოლაკელი, დიდუბელი თუ სვანეთის უბნელი ან პლეხანოველი. ახლა, როდესაც თბილისელში ოჯახიშვილობის ნაცვლად მოჭარბებულმა სიმსუქნემ, უკიდეგანო ლტოლვამ ნებისმიერი

მომავლის ხედვა

გზით გამდიდრებისაკენ, სხვისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ იმძლავრა, დროა ყველამ, უპირველესად თბილისელმა და არა მხოლოდ თბილისელმა (თელაველმა, ქუთაისელმა, ზესტაფონელმა, ზუგდიდელმა, ბათუმელმა, სოხუმელმა,) ზარი შემოვკრათ ტრადიციების არდაკარგვისათვის; რადგან ეს სენი გადამდებია, მასში ცხოვრების გაუკუღმართებასთან ერთად თითოეული ჩვენთაგანიც დამნაშავეა. ამიტომ დავძლიოთ ჩვენში შემოპარული პატარა ეშმაკები... ჩვენს საფიცარ თბილის ქალაქს შველა სჭირდება. და კიდევ, აუცილებელია რეალური პროგრამის შემუშავება, სადაც თბილისთან დაკავშირებულ გადამწყვეტ ეკონომიკურ სოციალურ პრობლემებთან ერთად გათვალისწინებული იქნება თბილისური ტრადიციების აღდგენის საკითხებიც...

ევროპული ორიენტაცია აღმოსავლური ფონის გათვალისწინებით

რთული და თავისებურია ქართული გენის განვითარების ისტორია უხსოვარი დროიდან დღემდე. ამას აუცილებლად სჭირდება ღრმა ფილოსოფიური კვლევა: „საქართველო გამოდის კარდჰუდან, ლაშარში მხილდება მითიურად, დავით აღმაშენებელი მყარდება ისტორიულად. ამ საზიერებაშია მოქცეული მთელი მისი ყოფა“. გრიგოლ რობაქიძისეული ასეთი ხედვა, ვფიქრობ, იძლევა კვლევის სწორ მიმართულებას.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში თითქმის არ ყოფილა ზოგადსაკაცობრიო მოვლენა, ქართული სამყარო (ქართული გენიც!) რომ არ იყოს მასთან შეხებაში. კერძოდ: — ამირან-პრომეთეს მითი, ოქროს საწმისი და არგონავტები, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და მცხეთაში უფლის კვართის დასვენება, დიონისე არეოპაგელის სამყარო, აღრეული აღორძინების ხანა, მე-20 საუკუნეში მსოფლიოს ორად გაყოფა-დაპირისპირების შემდეგ კი ჩვენ თვალწინ მისი დაახლოების ეტაპები...

საქართველო განწმენდის გზით მიდის, სწორედ ამიტომაც იღვრება ამდენი ქართველის სისხლი. ჩვენი გზა ლაზარეს გზაა. ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანას, სხვებთან შედარებით მეტი განსაცდელის გადალახვა მოუწევს ნარ-ეკლიან გზაზე...

უახლესი ათწლეული სულიერი, სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, ეთნიკური კრიზისებისა და კონფლიქტების პერიოდი იქნება, რომელიც, რა თქმა უნდა, გამოძახილს გარკვეულწილად ჩვენთანაც ჰპოვებს.

საქართველო ოდითგან და დღესაც ევროპული ორიენტაციის ქვეყნად ითვლებოდა. მაგრამ ეს როდი გამორიცხავდა მისი დიპლომატიური არსენალის სიღარიბეს აღმოსავლური სამყაროსადმი. მეტიც, ჩვენ მოღვაწეებს ევროპის ქვეყნებიდან დახმარებაუარყოფილებს აზია-აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან (აგრესორებთან თუ შედარებით ნეიტრალურებთან) პოლიტიკური ურთიერთობის გამჭრიახი, მოქნილი და ცხოვრებისეული მექანიზმი რომ არ შეემუშავებინათ, საქმე ძალზედ ცუდად წაგვივიდოდა. აღნიშნული მექანიზმი პოლიტიკურის გარდა მეცნიერულ, კულტურულ ასპექტებსაც ითვალისწინებდა, ხოლო საუკუნეობრივმა მჭიდრო კონტაქტებმა (ნებით თუ უნებლიეთ) გარკვეული ხასიათური მსგავსებაც ჩამოგვიყალიბა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისლამურმა სამყარომ თავისი ენერგიით შესაძლოა ახალ საერთაშორისო დაპირისპირებებს ჩაუყაროს საფუძველი, მით უფრო, როდესაც ევროპა თითქმის მოდუნებულია, ხოლო წარმატებებით გალაღებულმა შეერთებულმა შტატებმა შესაძლოა შეცდომები დაუშვას.

დიდი პერსპექტივები და აქედან გამომდინარე მსოფლიო პოლიტიკურ სპექტრში ავტორიტეტის ამაღლება ელის ატომურ, მილიარდიან ჩინეთს.

ყოველივე აღნიშნულისა და აგრეთვე არაორდინალური გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა შევიმუშაოთ საგარეო დიპლომატის კუთხით ისეთი ფორმა, რომელიც ასახავს ევროპის, აზია-აღმოსავლეთის და ჩვენს გარშემო მყოფი განსაკუთრებით არაერთმორწმუნე ქვეყნებთან კორექტული თანაბარუფლებიანობის პრინციპებს. უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია ყველა სხვისგან განსხვავებით. ურთიერთკონტაქტის განსაკუთრებული ფორმის შემუშავება ჩვენსავით ისტორიულად მსგავს სომხეთთან.

ვფიქრობ, სულ მალე საქართველო უფრო მჭიდროდ, უნდა დაუახლოვდეს (პოლიტიკური თვალსაზრისით) ისრაელს...

უახლესი დღეებისა და წლების საერთაშორისო სახელმწიფოებრივ ერთაშორის პრობლემად, ისევ ეთნოკომფლიქტები იკვეთება. შესაძლოა მას ნაციონალ-რეგიონალიზმის პრობლემაც დავუკავშიროთ, რადგან ცოტა რთულია იმის ზღვრის გავლება თუ სად იწყება ერთი და მთავრდება მეორე.

1921 წლიდან დღემდე (გასული პერიოდის უმძიმეს ტერიტორიულ დანაკარგებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) საქართველომ დაკარგა საინგილო, ქვემო ყარაია, იორ-ალაზნის შესართავი, ახპატსანაინი, სოჭის მხარე, შავშეთი, კლარჯეთი, ჰანეთი, უმძიმესი მდგომარეობაა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ასე თუ გასტანა, ვერა-ვაკის ამარა დავრჩებით. საზღვრების გამაგრებისა და ქვეყნის შიგნით წესრიგისათვის ორგანიზებული, ჯანსაღი ჯარი გვჭირდება. ქვეყნის ხელმძღვანელმა, პარლამენტმა, ხალხმა ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა გადაწყდეს არა დროებით მიჩუმათებით (თუმცა არ გამოვრიცხავ საბოლოო მიზნისათვის გარკვეულ ტაქტიკურ ზიგზაგებს) არამედ სამუდამოდ, რათა ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს მაინც არ მოუწიოს ჩვენი გასაკეთებელისათვის თავიანთი სისხლის ღვრა.

იმედის მომცემად ჩანს ყოველივე ზემოთთქმულთან დაკავშირებით სახელმწიფო მეთაურის პოლიტიკური ნაბიჯები, მაგრამ მას მხარში ამოდგომაც სჭირდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიმეცნოთ და ჩავიბეჭდოთ, რომ ერს არც კერპი, არც მეფე, არც მესია არ სჭირდება. დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისას ერს სჭირდება ლიდერი, მაგრამ ნუ ავკიდებთ ყველა ჩვენგანის გასაკეთებელს მას, რადგან ეს მარცხის გარდა არაფერს მოიტანს.

როგორც ღმერთი უნდა ჰპოვო კაცმა შენს თავში, ისე უნდა აღმოვაჩინოთ ჩვენს თავში ჩვენი წილი ფუნქცია და გასაკეთებელი ამ ქვეყნად და უპრეტენზიო შრომით ვზიდოთ საერთო ჭაპანი, რადგან — „არაფერია ფუფუნებაზე უფრო მონური და შრომაზე უფრო მეფური“...

და კიდევ, მთავრობის მეთაურს ბევრი პროფესიონალი ჰყავს გარშემო, მაგრამ სულ რჩება უკმარისობის გრძნობა, რადგან თითქოს მისი გარემოცვა, ვიღაცის ან რაღაცის გამოისობით თუ სუბიექტურობით, დღენიადაგ არ მდიდრდება სხვადასხვა თაობის ახალი ძალებით, რაც მიუხედავად მრავალმხრივ ავტორიტეტული და ორიგინალური იმიჯისა, მაინც ასე საჭიროა მისთვის...

თანამემამულენო! კარზე მოგვიკაკუნა ჩვენი სამშობლოს ნანატრ სინათლეში გასვლის ჟამმა, რისთვისაც ამდენი სისხლი და ცრემლი დაღვრილა. საქართველო მესახება იმ ტალღებშეჭიდებულ ხომალდად, რომელიც სადაცაა ნავსაყუდელს უნდა მიადგეს. ნუ ჩავძირავთ მას ნავსაყუდელში შესვლამდე...

ვთხოვთ ჰონორარი გადაირიცხოს თავდაცვის ფონდში.

ვილუპებით, გადარჩენაზე ვიფიქროთ!

დღეს თბილისის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ამირანში“ ჩვენი მებრძოლი ბიჭებისათვის ფორმებს კერავენ (სხვა ნედლეული აღარც გააჩნიათ). ღიმილს იშვიათად დაინახავთ, ირგვლივ ნაღვლიანი სახეები შემოგვცქერის. მაინც როგორ, რით შეიძლება ვუშველოთ განსაცდელში ჩავარდნილ სამშობლოს ამ ძნელბედობის ჟამს, რა უნდა ვაკეთოთ ქვეყნის გადასარჩენად? ამ შეკითხვით მივმართეთ ფაბრიკის ზოგიერთ თანამშრომელს.

მადონა ხაჩიძე, ექსპერიმენტული საამქროს უფროსი: ყოველ დილით ის მაფიქრებს, რა დღეშია ჩვენი მიწა-წყალი, ვის ეწირებიან ჩვენი ბიჭები, განა ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზები და ქართველები ერთ ლუკმას არ იყოფდნენ, ერთად არ შრომობდნენ და ხარობდნენ? მაშ ვინ შეუშალა ხელი ჩვენს მეგობრობას? ეს ყოველივე უკვე ნათელია და განმარტებას არ საჭიროებს. როგორ შეიძლება დავძლიოთ მტერი? მხოლოდ და მხოლოდ ერთიანობით, ერთმანეთთან კინკლაობას უნდა მოვეშვათ, სხვანაირად შეუძლებელია მტერზე გამარჯვება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი სამშობლო არც ერთ მტკაველ მიწას არ დათმობს.

ნაზი გიორგაძე, ინჟინერი: რაც დღეს საქართველოში ხდება, მტერს გაახარებს მხოლოდ. მოდით, გულახდილად ვთქვათ, ხომ არსებობს ასეთი ანდაზა „დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო“? ამით იმის თქმა მინდა, რომ პოლიტიკის მართვა ნამდვილ პოლიტიკოსებს უნდა დავანებოთ. მათ უკეთ იციან, როგორი ტაქტითა და მანევრირებით მოახდინონ ქვეყნის გადარჩენა. მარტო ძალით ვერაფერს გავხდებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტი გამოკვეთილია, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ რუსეთის დემოკრატიულ ფრთასთან საერთო ენა გამოვნახოთ და ხელშეკრულების დადებაზე უარი არ ვთქვათ, ვინაიდან იგი უპირველესად ჩვენს მოსახლეობას დააზარალებს. ჩვენ ყველა მეზობელთან კეთილად გვინდა ვიცხოვროთ, ალბათ ამას რუსეთშიც მალე გაიგებენ. ჩვენ მხოლოდ ერთიანობა გადაგვარჩენს. ჩვენი ხსნა სწორედ ერთმანეთის სიყვარულსა და მიმტევებლობაშია.

სახელდახელო ინტერვიუ

ვიოლა დოხნაძე, მკერავი-ოსტატი: ღმერთმა ნუ ქნას საქართველო უქართველებოდ, ამიტომაც მეტი ტაქტი და თავშეკავება გვმართებს, როცა რუსეთის აგრესიაზე ვსაუბრობთ. იქნებ ჩვენი მტერი მეტად გავაღიზიანეთ, იქნებ ჩვენც დავუშვით რაღაც შეცდომა და ტკბილი სიტყვით მეტის გაკეთება შეგვეძლო. სამწუხაროდ, ეს დრო უკვე გაშვებულია, ახლა იმაზე უნდა ვიფიქროთ, მეტი აღარ შეგვეშალოს. ვაცალოთ პოლიტიკოსებს, მათ ჩვენზე უკეთ იციან, რა აკეთონ. როგორ მოვიქცეთ, ჩვენი ფაბრიკა ყოველწლიურად სტაბილურად მუშაობდა. ახლა ნედლეული აღარ გვაქვს, ყოველმხრივ ხელფეხშეკრული დავრჩით, მიმაჩნია, მიუხედავად რუსეთთან დიდი სიძნელეებისა, ხელშეკრულება მაინც უნდა დავდოთ, ვინაიდან საქართველოს ეკონომიკას დღეს ისე უჭირს, როგორც არასდროს.

ლუიზა შუბლაძე, მკერავი: ჩემს ერს ყოველთვის ერთიანობა შველოდა, გათიშულობა კარგს ვერაფერს მოგვიტანს და საქართველო დაიღუპება. ახლანდელმა მთავრობამ უკეთ უნდა აკეთოს ის საქმე, რაც მას ევალება. პარლამენტი ჩვენი ერთიანობისთვის უნდა ზრუნავდეს და ამით თვითონ აძლევდეს სხვებს მაგალითს. თავიანთი გამოსვლებით კი ზოგჯერ გათიშულობას იწვევენ. კარგად ვხედავ აფხაზეთში რუსეთი გვეომება, ამიტომაც მხარს ვუჭერ ირაკლი წერეთელს და ვფიქრობ, სანამ საქართველოდან ჯარი არ გავა, იქამდე კიდევ უარესი დღე მოგველის.

დავით სიმხაევი, ცვლის უფროსი: მე ებრაელი კაცი ვარ, საქართველო ჩემი სამშობლოა და უმისოდ ღმერთმა ნუ მაცოცხლოს. ის, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, გულს მიკლავს. იქნებ როგორმე კიდევ გამოინახოს საშუალება შეთანხმებისა და მორიგებისა. მჯერა, რუსეთის დემოკრატიულ ძალებს ხელს არ აძლევთ აფხაზეთში სისხლისღვრა. ამიტომაც იმედია, ქართველი პოლიტიკოსები ყველაფერს იღონებენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ლალი ქინქლაძე.

ვიხსნათ საქართველო!

გიორგი პაიჭაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— დღევანდელი მდგომარეობა უაღრესად კრიტიკულია. დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, რომ მთელი ერი ერთ მუშტად შეიკრას. შეწყდეს მტრობა და კინკლაობა! ყველა უნდა ემსახურებოდეს ერთ საქმეს — საქართველოს კეთილდღეობას. ყველამ უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფოს მეთაურს, რომ მაქსიმალურად შეასრულოს თავისი ფუნქცია საერთო, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ყოველი მოქმედება ამის წინააღმდეგ — ერის ღალატია.

გრიგოლ მარგიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— ყოფილი პარლამენტის წევრი ვარ. თვალყურს ვადევნებ ამჟამინდელი პარლამენტის სხდომებს და მექმნება შთაბეჭდილება, რომ ახალ პარლამენტშიც ჭარბად ურევია, მეტი რომ არა ვთქვათ, წინდაუხედავი დეპუტატები, რომლებიც ხელს უშლიან სწორი გადაწყვეტილებების თავის დროზე მიღებას და რეალიზაციას. ამისი კონკრეტული მაგალითია რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების ცდების ჩასაფუშად ზოგიერთი დეპუტატისა და არაერთი პოლიტიკური პარტიის მიერ განხორციელებული აქციები.

დღეს, როდესაც რუსეთთან საომარი კონფლიქტი გარდაუვალი ჩანს, რამდენად კანონზომიერია „იბერია სპექტრის“, „პროზვიადისტური“ და ანტისახელმწიფოებრივი (თავისთავად ანტიეროვნული!) პუბლიკაციების დაშვება? იგივე შეეხება „საქართველოს სამრეკლოს“.

მთავარი კი ისაა, რომ პარლამენტის ზოგი დეპუტატი მთავრობის მეთაურის ძალისხმევას უპირისპირდება გროზნოელ და ჩვენში მყოფ „ზვიადისტებთან“ ერთად.

გერონტი გასვიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— ახლა, როდესაც რუსეთის რეაქციას სურს ჩაგვითრიოს სისხლიან კონფლიქტში, იმისი ყვირილი და ძახილი, რუსეთი რეაქციული ქვეყანაა, რუსეთი აგრესორიაო, მხოლოდ რეაქციული ძალების წისქვილზე წყლის დასხმაა. ჩვენს პარლამენტში, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც გააფთრებით ებრძვიან უმრავლესობის გონივრულ პოლიტიკას რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების საკითხში. ნუთუ მათ არ მოეკითხებათ პასუხი 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის გამო? განა ისინი არ მოუწოდებდნენ აშკარა სიკვდილისა და კატასტროფის წინაშე მდგომ უმწეო, დაუცველ ადამიანებს, აქედან ფეხი არავინ მოიცვალოთო? თვითონ აქეთ-იქით გაიპარნენ, საბრალო ქალები და ბავშვები კი ჯარს დაუტოვეს საჯიჯგნად. ახლა სწორედ ეს პიროვნებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებად რომ მოაქვთ თავი, გვიბიძგებენ კბილებამდე შეიარაღებული რუსეთის არმიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისკენ — გავყაროთ რუსის ოკუპანტებიო, გაიძახიან, თვითონ კი ერთხელაც არ აუღიათ იარაღი ხელში.

საქართველოს მტერია ყველა, ვინც ხელს უწყობს ქართველი ხალხის გათიშულობას, ქვეყნის დესტაბილიზაციას.

კობა ბედოიძე —ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი:

— დღევანდელი ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება გვიჩვენებს, რომ თუ არა ჩვენი ქვეყნის მეთაურისა და პარლამენტის ბრძნული პოლიტიკა, კატასტროფა გარდაუვალია. შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო ჩვენი ქვეყნის არსებობას, არამედ საერთოდ, ქართულ გენს ემუქრება გადაშენების საფრთხე, იღუპება ქართველი ახალგაზრდობა — ქართული ოქროს გენოფონდი. დროა დაიდოს ყველაფერს ამას ზღვარი! ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ისეთ დიდ ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია, თუ არ გამოინახა საერთო ენა, შეხების წერტილები, თუ საბოლოოდ არ გაფორმდა ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულება, შესაძლოა ისეთი უპატიებელი ისტორიული შეცდომა დავუშვათ, რომ ჩვენი მომავალი თაობების განსასჯელნი გავხდეთ....

ინტერვიუ ჩამოართვა
ნანული ბარათაშვილმა.

ივერთ მხარე ჩვენი სამშობლოა

შეწყდეს რუსეთის აგრესიული ჩარევა საქართველოს შინაურ საქმეებში — ამ მოთხოვნით მოვიდნენ 17 მარტს თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრში დედაქალაქის რუსი და სხვა არაქართველი მოსახლეობის წარმომადგენლები. საქართველო — ჩვენი სამშობლო — დღეს უმძიმესი განსაცდელის წინაშე დგას და ყველა ჩვენგანი მის დამცველთა რიგებში უნდა ჩავდგეთ, — ასეთი იყო ამ მღელვარე და ტკივილიანი შეხვედრის სულისკვეთება.

შეხვედრა, რომელიც გაიმართა „სლავიანური სახლის“ ინიციატივითა და დედაქალაქის მერიის ხელშეწყობით, კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება იყო იმ ერთსულოვნებისა და საქართველოსადმი მისი ყოველი მცხოვრების უანგარო სიყვარულისა, რომლის აღმოფხვრა-ამოძირკვასაც აგერ უკვე რამდენი ხანია სხვადასხვა ბინძური ხერხით ცდილობს მავანი და მავანი. დრომ მოიტანა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, ვისი ხელით იხოცებიან საქართველოს ძირძველ მიწაზე — აფხაზეთში — სამშობლოსათვის თავშეწირული ჭაბუკები. და ის ფაქტი, რომ მათ რიგებში ბევრი არაქართველია, მეტყველებს ჩვენს მიწაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა კავშირის ურღვევობაზე. სწორედ თავისი სამშობლოს — საქართველოს ბედით შეშფოთება იგრძნობოდა შეხვედრის მონაწილეთა გამოსვლებში. ვინ, თუ არა რუსეთის ხელისუფლებამ, უნდა აგოს პასუხი იმ განუკითხავ სისხლისმღვრელ ომზე, რომელიც მიმდინარეობს აფხაზეთში — ეს აზრი გასდევდა ზოლად ყველა გამოსვლას.

შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს ქალაქ თბილისის მერმა კოტე გაბაშვილმა, „სლავიანური სახლის“ პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა იგორ ბოგომოლოვმა, თბილისის მე-13 და 82-ე საშუალო სკოლების დირექტორებმა ვლადისლავ პოზდნიაკოვმა და ლიდია ვორობიოვამ, პედაგოგებმა ალექსანდრა პოლეშჩუკმა, ჟანა ხაუსტოვამ, ნადეჟდა დემჩენკომ, ლუდმილა იოსნომ, თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა ლუდმილა ჯვირღწითელმა, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობმა ირინა აბრეჩკოვამ, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობმა ჯემალ სიხარულიძემ, სხვებმა.

შეკრებამ მიიღო მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინისადმი, აგრეთვე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი.

მაია ალუდაური,

ქართველ და სომეხ ხალხებს ერთმანეთს ვერავინ წაჰკიდებს

— **ოსტანკინოს** პროგრამა „ნოვოსტი“, რუსეთის რადიო, ტელევიზია, პრესა იუწყებიან, რომ აფხაზ სეპარატისტთა მხარეს სომეხთა ცალკე ბატალიონი იბრძვისო. ასეთი ცნობები გამოჩნდა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც, რამდენად შეესაბამება ყოველივე ეს სინამდვილეს? საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტმა ასეთი კითხვით მიმართა საქართველოში სომხური კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების თავმჯდომარეს, გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორს **ვან ბაიბურთს**. აი, რა გვითხრა მან:

— მანამ, სანამ ვიტყოდეთ რამეს ეგრეთ წოდებული „სომხური ბატალიონის“ შესახებ, მსურს შევახსენოთ, რომ აფხაზთა მხარე იქ მიმდინარე მთელი კონფლიქტის პერიოდში ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს „სომხური ფაქტორი“ და, როგორც ამას ფაქტები ადასტურებენ, მთელ რიგ შემთხვევებში აღწევს კიდეც მიზანს. და ეს გასაგებიც არის. აფხაზეთში მრავალი სომეხი ცხოვრობს და „გუდაუთის მთავრობა“, რომელსაც ისინი გამოჰყავს თავის მომხრეთა როლში, ცდილობს, გამოიწვიოს უარყოფითი რეაქცია ქართული მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში და მოახდინოს ახალი ეთნოკონფლიქტის პროვოცირება. ოსტანკინოს ტელეკომპანიის მიერ გადმოცემული სიუჟეტი მორიგი პროპაგანდისტული დეზინფორმაციაა. ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან შევძელით დაგვედგინა, რომ არავითარი სომხური ბატალიონი არ არსებობს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იარაღით, სიკვდილის მუქარით აიძულებენ გუდაუთის არმიაში სამსახურს არა მარტო იმ პირებს, რომლებიც ექვემდებარებიან მობილიზაციას, არამედ, მათი ოჯახის წევრებსაც. ამავე დროს, როგორც თვით აფხაზეთის, ისე საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების სომეხი ეროვნების მოქალაქეები ქართველ პატრიოტებთან ერთად ომის პირველი დღეებიდანვე იბრძვიან რესპუბლიკის მთლიანობისათვის.

საუკუნეთა მანძილზე მტრები არაერთგზის ცდილან ერთმანეთისთვის წაეკიდებინათ ქართველი და სომეხი ხალხები, შეერყიათ მათი მეგობრობა და ძმობა, მაგრამ ამას ისინი ვერასდროს ვერ ახერხებდნენ და ვერც მომავალში მოახერხებენ.

მოქალაქეებისა და საქმიანი წრეების საყურადღებოდ!
"თბილკომბანკი" "TBILCOMBANK"
სადეპოზიტო სერთიფიკატები ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ეფექტურად დაიცავს თქვენს დანაზოგს ინფლაციისაგან.


დარიცხული პროცენტები გაიცემა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით სერტიფიკატების ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენის შემთხვევაში.
სერთიფიკატების მინიმალური ღირებულებაა 10 000 მანეთი.
"თბილკომბანკი" აწარმოებს გადმორიცხვებს რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში.
"თბილკომბანკი"-ს რეკვიზიტებია: ა/ნ N700161513 საქ. ეროვნული ბანკი, მფო 522867
მისამართი: თავისუფლების მოედანი შ.დადიანის ქ. N2 (მე-3 სართული).
ტელ. 98-53-97; 98-47-70.

— „ალორძინება-93“ —

დავესწროთ მისიის ღვთისმსახურებას

სიტყვა „ალორძინება“ სხვებთან ერთად ქრისტიანულ ტერმინოლოგიაშიც გამოიყენება და თავის თავში მოიცავს აღდგენას, განახლებას, უკეთ გარდაქმნას, მაღლიდან შობას, ჭეშმარიტ სარწმუნოებაში განმტკიცებას, ცოდვიანი ცხოვრების უარყოფას, სრულყოფისაკენ სვლას, მარად ნეტარი ცხოვრების გარანტირებას და ყოველ უკვდავ სიკეთეს.

დღევანდელი ომების, სადისტური წამების, მძევლებად აყვანის, გაუპატიურების, მიწისძვრების, შიმშილის, ზვავების, განუკურნებელი დაავადებების, ურთიერთსიძულვილის, ანგარების და ურწმუნოების შესახებ, რაც ხდება და უნდა მოხდეს, ღმერთი ბიბლიის საშუალებით გვაუწყებს.

კატასტროფის წინაშე მდგარი სამყაროს, ან ერთეული ქვეყნის გადარჩენა არც სიმდიდრეს, არც ცივილიზაციას, არც ავტორიტეტულ პოლიტიკურ მოღვაწეთა, არც დემოკრატიულ წყობას და არც რელიგიურ მოღვაწეთ, არამედ მხოლოდ ცისა ქვეყნის შემქმნელ და შემოქმედ ღმერთს ძალუძს. სწორედ ამ ხსნისა და ნეტარების შესახებ ახარებს „ალორძინება-93“-ის მისია.

ძვირფასო მეგობრებო! შორს აღარ არის ის დრო, როცა ძე ღვთისა მაცხოვარი იესო ქრისტე მეორედ მოვა ქვეყანაზე, რამეთუ დაწერილია: „და ექადაგება ეს სახარება მთელს ქვეყანაში ყველა ხალხს დასამოწმებლად და მაშინ მოვა აღსასრული“ (მათე 24:14). სწორედ 1993 წლის 19 მარტიდან იწყება ამ საწინასწარმეტყველო სიტყვების შესრულება, როდესაც გერმანიიდან კოსმოსური კავშირით გადაიცემა დოქტორ ბილი გრემის ქადაგება ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში ტალინიდან ვლადივოსტოკამდე, ყველა დიდ ქალაქსა და დაბაში.

„ალორძინება-93“-ის მისიის მიზანია ადამიანებმა მიიღონ ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა. ყველამ მიატოვოს ცოდვიანი ცხოვრება და მოემზადონ ქრისტესთან შესახვედრად. მისია წინააღმდეგია ამა თუ იმ მიმდევრობის ლანძღვისა და გადაბირ-გადმობირებისა და იგი არც ეკუმენიზმს არ ისახავს მიზნად.

ჩასწვდნენ რა „ალორძინება-93“-ის სასიკეთო ღონისძიებას, იტალიის კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა თავიანთ ერს ოფიციალურად მოუწოდეს, რომ დაესწრონ ამ მისიის ღვთისმსახურებას, მაშინ, როდესაც ასეთი მსახურება მათ პრაქტიკაში არ ჰქონდათ და ადრე ანალოგიურ მსახურებაზე უკრძალავდნენ დასწრებას.

რუმინეთის მთავრობის ხელმძღვანელმა მისიის საორგანიზაციო კომიტეტს სთხოვა, უფრო დიდი შენობები გამოეყოთ, რათა მთავრობათა ხელმძღვანელები, მათი ოჯახები და ახლობლებიც დაესწრონ ამ ღონისძიებას.

მე, როგორც ქრისტეს მოწაფე და „ალორძინება-93“ მისიის დამხმარე პირი, უფლის სახელით მოგიწოდებთ საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, ყველა პარტიის, წარმოება-დაწესებულებათა და სასწავლებლების ხელმძღვანელებს, ყველა ქრისტიანულ მიმდევრობათა მწყემსებს, მობრძანდით 19, 20 და 21 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში 18 საათსა და 30 წუთზე თქვენს ოჯახებთან, ახლობლებთან და თქვენს გამგებლობაში მყოფ ადამიანებთან ერთად. შესვლა უფასო და თავისუფალია, ყოველი დამსწრე მიიღებს საჭირო ლიტერატურას და ყველა კმაყოფილი დარჩებით. შემდგომ პერიოდში ღონისძიების სხვა ქალაქებში ჩატარების შესახებ იქნება მოსაწვევები და განცხადებები.

ღმერთმა დაგლოცოთ, მან გაკურთხოთ, მან მოგცეთ სურვილი და შესაძლებლობა ამ საკეთილდღეო მისიაში მონაწილეობისა.

გურამ კაპანაძე,
სახარების რწმენის ქრისტიანული ეკლესიის მსახური.

წერილი რედაქციას

„საქართველოს რესპუბლიკის“ 12 მარტის ნომერში გამოქვეყნდა წერილები სარედაქციო ფოსტიდან, სადაც ერთ-ერთი მკითხველის წერილში „რკინისებური ლოგიკა“ ვკითხულობთ: „გაზეთი „ქართველი ერიც“ ჩვეულ გზას არ ღალატობს და, ვინაიდან უკეთესი პასუხი ვერ მოუძებნია, მუშტმოღერებული იმუქრება“. ამ შესავალს მოსდევს ციტატები, რომლებიც გაზეთ „ქართველ ერში“ არ დაბეჭდილა, უფრო მეტიც, „ქართველ ერში“ საერთოდ არ დაბეჭდილა წერილი ი. გოცირიძისა და თ. მირიანაშვილის კონფლიქტზე.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ არცერთი გაზეთი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, მაგრამ, საერთო დაძაბულობის და დაპირისპირების ფონზე ეს უზუსტობა მძიმე ბრალდებად დააწვა რედაქციას, რომელსაც აღდგენის დღიდან არავისთვის არასოდეს ანგარიშსწორებისაკენ არ მოუწოდებია.

დავძენთ იმასაც, რომ თუკი შემდგომში კიდევ დაგვაბრალებენ რაიმეს (ასეთი შემთხვევები კი სხვადასხვა გამოცემებში უკვე იყო), პასუხს მხოლოდ კანონით, ადმინისტრაციული ორგანოების საშუალებით მოვითხოვთ.

გაზეთ „ქართველი ერის“ რედაქცია.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების საყურადღებოდ!

1993 წლის მეორე ნახევრისათვის ხელმოწერის ჩატარების მიზნით, გთხოვთ სასწრაფოდ წარმოადგინოთ რესპუბლიკურ კატალოგში შესატანი ცვლილებები მისამართით: 9 აპრილის ქუჩა № 2 (ყოფილი ჩიტაძის ქუჩა, მე-IV სართული) წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი გამოცემა წლის მეორე ნახევრიდან არ გავრცელდება ხელმოწერით.

რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქპრესა“.

— პოლიციის სადაგი დღეები —

არსენას შვიდასი თუმანი რაღა ბედენაა...

კასპის რაიონის პოლიციის უფროსს, პოლიციის კაპიტანს თემურ დვალიშვილს ესაუბრება ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი.

— ამბობენ, ერთხელ, კასპის მილიციის ახლადდანიშნულმა უფროსმა საქმიანობა იმით დაიწყო, ხელქვეითები იმ შვიდასი თუმნის მოსაძებნად გაგზავნა, „არსენას ლექსში“ რომაა მოთხრობილი. თქვენ რით დაიწყეთ?

— კასპის მილიციაში ისეთ დროს „გამამწესეს“, არსენას ლექსისთვის, თუმცა პოეზია ძალიან მიყვარს, ვის ეცალა. პოლიცია პოლიციაა და ცხოვრებისეულ პროზაზე — ხულიგნებზე, ბანდიტებზე, წესრიგის დამრღვევებზე საუბარი უფრო უპრიანი იქნება. აი, თუნდაც შვიდასი თუმანი რომ ახსენეთ. გუშინწინ, ღამით, რკინიგზის სადგურ გრაკლის ტერიტორიაზე სარეზერვო ორთქლმავლების ბაზაში ამ სოფლის ხუთი მოსახლე შეიპარა. რაზეც კი ხელი მიუწვდებოდათ, დაგლიჯეს. ორთქლმავლის კონსტრუქციებიდან სპილენძის სადენები ამოჭრეს...

პოლიციამ ისინი ცხელ კვალზე დააკავა. თურქეთის ბაზარზე წასაღებად გამზადებული სპილენძის სხმულები შავი ბაზრის ფასებით 700 დოლარადაა შეფასებული.

— მაგრამ არსენას შთამომავლები მარტო ქურდები ხომ არ არიან?

— ღმერთმა დაგვიფაროს. ჯერ მარტო აფხაზეთში მებრძოლი კასპის ბატალიონის ბიჭები რად ღირს! ჩინებული შევსება მოდის ჩვენს პოლიციაშიც და თუმცა თაობათა ცვლის პროცესი მთლად უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს, მამებს რომ სჯობნიან, ისეთ ახალგაზრდებს ვაწინაურებთ.

სწორედ ჩვენი ახალგაზრდა ოპერატიული მუშაკების გამჭრიახობით მოვახერხეთ წლეულს, 1 იანვარს სოფელ ახალქალაქში საშიში დამნაშავეების შეპყრობა.

იმ დღეს პოლიციის პატრულმა ამ სოფლის ერთ-ერთი მოსახლის კარზე „ჟიგული“ შენიშნა. მივიდნენ. დაათვალიერეს. მანქანაში არავინ იჯდა, ამასთან იგი ჩვენი რაიონის არ იყო. ეზოში შევიდნენ. სახლიდან სიმღერის ხმა გამოდიოდა — რას ერჩი, ახალი წელია და ოჯახი ხარობს, მაგრამ უსიამოვნო ეჭვი პოლიციელებს კვლავაც აწვალებდა. კარზე თავაზიანად დააკაკუნეს და ოჯახში „მეკვლეებად“ შევიდნენ. ერთ-ერთმა მოქეიფემ პოლიციელები რომ დაინახა, იქვე, ტახტზე ავტომატს დასწვდა. მაგრამ „მეკვლეებმა“ დაასწრეს. სტუმარი გაკოჭეს...

— ვისია ავტომატი? ეკითხებიან.

— კალაშნიკოვის. — იანგლა ბანდიტმა.

იგი თბილისელი გიორგი ელიზბარაშვილი აღმოჩნდა — ადრე რამდენიმეჯერ ნასამართლევი, რომელსაც ბოლოს, კაცის კვლისათვის, თბილისის ვაკის რაიონის პოლიცია დაეძებდა.

იმავე აუფრიდან აიყვანეს ასევე სისხლის სამართლის დამნაშავე გიორგი ჯალაღონია. ბანდიტები სრულ საბრძოლო აღჭურვილობაში იყვნენ.

— სასიამოვნოა, რაც მიამბეთ, მაგრამ წესრიგის დამცველი ახალგაზრდების გარდა წესრიგის ამშლელებიც ხომ გყავთ? როგორია მათი „წვლილი“ დამნაშავეობის რაიონულ მაჩვენებელში?

— სამწუხაროდ, დანაშაულს ახალგაზრდებიც სჩადიან. ეს კი იმას მეტყველებს, რომ მათი აღზრდის, მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესი ბევრ ოჯახში, თუ გნებავთ სკოლაშიც, თვითდინებაზეა მიშვებული.

ის რაც ამას წინათ კავთისხევის სკოლაში მოხდა, ნათქვამის დადასტურებად მიმაჩნია.

პედსაბჭოს სხდომის დროს სკოლის დირექტორს ოთარ ნონიკაშვილს სანადირო თოფით მიეჭრა სასწავლო ნაწილის გამგის მეუღლე ტარიელ შატავიძე, იქ მყოფთ უშვერი სიტყვებით აგინა, ხოლო სკოლის დირექტორს კი მოკვლით ემუქრებოდა. მოსწავლეები კი ამ აურზაურს ცნობისმოყვარედ შესცქეროდნენ. მოგეხსენებათ, ცუდი მაგალითი გადამდებია...

გურამ ვაშაკიძე.

მეათე მუზა

„ისინი“ გუშინ,



„ისინი“ დღეს...

დღეს, ლევან ზაქარეიშვილის ტრაგიკული ფილმი „ისინი“ განსაკუთრებით აქტუალურია. დრამატურგიის სირთულისა და შინაგანი წინააღმდეგობებით დატვირთულობის მიუხედავად ჩვენ ცხადად შევიგრძნობთ მასში ემოციური დაძაბულობის ხაზს, რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროზე გადის და მისი სულის პოეზიას, მისი ხასიათის თვისებებს წარმოგვიჩენს. მოვლენათა ჩვენებისას რეჟისორი არ იშურებს ფერებს, არ ერიდება მხატვრული ენის „დემოკრატიზმს“, მკვეთრ და თამამ გადაწყვეტას. მან თითქოს გარეთ გადმოანთხია ვნება და დაანგრია ჯებირები დასაშვებსა და დაუშვებელს შორის. გააშიშვლა სატკივარი და წაშალა ზღვარი რეალურ სინამდვილესა და ლამაზ ოცნებებს, ნამდვილ და მოჩვენებით სიმართლეს შორის, რომლის ფესვებიც შორეულ წარსულში მიდის.

ფილმის მსვლელობის მანძილზე მაყურებელი თანაუგრძნობს გმირს, უჩნდება სურვილი მხარში ამოუდგეს მას ცხოვრებასთან სასტიკი შეტაკებისას. რეჟისორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაყურებელთან რთული ფსიქოლოგიური კამათისას, იგი იწვევს მას დიალოგში საკუთარ სინდისთან, უბიძგებს ღრმა თვითანალიზისაკენ და ამით საშუალებას აძლევს თავად გააკეთოს არჩევანი და გამოიტანოს დასკვნები.

გმირები ფილმისა „ისინი“ დასაწყისში ჩვეულებრივი — მხიარული, სიცოცხლით აღსავსე, თავგადასავლებისა და სამყაროს შეცნობის ჟინით შეპყრობილი მოზარდები არიან. რეჟისორი აშიშვლებს მათ გრძნობებსა და მისწრაფებებს. ერთმანეთთან სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით გადაჯაჭვული, ისინი თანაბრად ინაწილებენ ყველა სიხარულსა თუ გასართობს. ჩვენცა და გმირებიც დარწმუნებულნი ვართ, რომ არ არის ქვეყნად ძალა, რომელიც მათ ერთმანეთს დააშორებს.

და აი, დაუოკებელი სიხარულისა და ლამაზი ოცნებების სამყაროში იჭრება საგანგაშო ბგერები — თემა ძალადობისა, რომელიც იმ დრამატულ მოვლენებს მოასწავებს, შემდგომში რომ განვითარდება.

მახარეს სახლის ეპიზოდი ფილმის ყველაზე რთული ფსიქოლოგიური მომენტია, რომელშიც ავტორისეული მიდგომის ის ქვეტექსტი იმალება, მიმდინარე მოვლენების მიმართ ჩვენს შემდგომ დამოკიდებულებასაც რომ განაპირობებს, ბიჭების ჩახლეჩილი ხმები მათ მდგომარეობას ამჟღავნებენ.

— რა არის ეს — თამაში? გართობა? თუ დამნაშავეთა სამყაროს რომანტიკული თავგადასავლებით ჭაბუკური გატაცება?

და აი აქ უკვე ვხედებით, რომ გვაბნევს ერთი ხასიათის ფარგლებში შეუთავსებელ თვისებათა პარადოქსული შეთავსება, გუნება-განწყობილების მოულოდნელი ცვლა, საქციელთა იმპულსურობა. ყური რომ მიუგდო და დააკვირდე, იტყვი, რომ ისინი ჩვენი გმირები — ტრაბახები, ცოტა არ იყოს, ქარაფშუტები და არასერიოზულები არიან, საბოლოო ჯამში კი ალალი მეგობრობა, სიყვარული და ურთიერთდახმარების სურვილი ამოძრავებთ.

გია ბარამიძის ტრაგედია იწყება.

განთიადის ბურუსში, წარმავალი ბინდის გაფანტულ შუქზე მკრთალად ანათებს მთვარე. ირგვლივ სიჩუმე — [illegible]

წინ კი ციმბირის ბანაკია და კიდევ ერთხელ გასავლელი ცხოვრებისეული გზა.

რამდენი სიცოცხლე, ცხოვრება შეიძლება ჰქონდეს ერთ ადამიანს და რომელი უნდა აირჩიოს?

ყველაფრის მიუხედავად გია არ იცვლის თავის შეხედულებებს, ზნეობრივ პრინციპებს. იგი არვის უმხელს გულისნადებს, უსიტყვოდ იტანჯება ადამიანთა გულგრილობისა და გაუგებრობის გამო.

დოკუმენტურად გადაღებული გარემო — ციხე, ბანაკი, ქალაქის ქუჩა — ქმნის ეკრანზე იმ ცოცხალ სივრცეს, რომელშიც გმირი დროის ნიშნებს იძენს, იმ სიმართლით იმოსება, რომელიც მხატვრულ სახეს ჩვენს თანამედროვედ წარმოგვიდგენს, ხოლო მაყურებელს მისი ტრაგიკული ბედის მიმართ თანაგრძნობით მსჭვალავს.

სწორედ ამით გვიზიდავს ფილმი „ისინი“, რომლის ავტორი ცდილობს ღრმად ჩაიხედოს ადამიანის სულში, წარმოაჩინოს მის გრძნობათა რთული დინამიკა.

სწორედ ადამიანის ბედის, მისი ხასიათის საშუალებით ცდილობს, რეჟისორი უმნიშვნელოვანესი, საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტას, ცდილობს ფაქტებისა და შეხედულებების შეჯახებით გახსნას არსი ამ წინააღმდეგობებისა.

თვით ფილმის სათაურიც გარკვეული წინასწარმოცემულობის შემცველია.

„ისინი“ ყოველთვის — დღესაც და ხვალაც არიან და იქნებიან. „ისინი“ — კარგი ბიჭები, რომლებიც ბედმა ცხოვრების სხვადასხვა მხარეს მიმოფანტა.

„ისინი“ არ არიან მე და თქვენ. ეს მათ უჭირთ და არა ჩვენ. „ისინი“ შეიძლება სიჭაბუკეშივე დაიღუპონ და ახალგაზრდა სიცოცხლე დაღუპონ. „ისინი“ ჩვენს გულისხმიერებას საჭიროებენ და დღეს ჩვენ მათ გვერდით უნდა ვიყოთ, დახმარების ხელი გავუწოდოთ. „ისინი“ დღეს კარზე გვიკაკუნებენ და უხმო განგაშის ზარით ჩვენს გაღვიძებას ცდილობენ იმიტომ, რომ დღეს, აქ, ჩვენს გვერდით ინგრევა ადამიანის ბედი და უბედურებამ შეიძლება ნებისმიერ სახლს მიაკითხოს.

ფილმი „ისინი“ მალე გამოვა ეკრანებზე. და მთავარი განმკითხავი მაყურებელი იქნება.

მარინე ნანეიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

• • •

სურათზე: კადრი ფილმიდან „ისინი“.

ცხონება



გელა მიშელაშვილი

კიდევ ერთი პატრიოტი შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას — 18 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა შავნაბადის ბატალიონის მებრძოლი გელა გურამის ძე მიშელაშვილი.

9 მარტს შეუსრულდა 31 წელი. უნუგეშოდ დატოვა ორი პატარა — გურამი და გიორგი, მეუღლე და მშობლები.

ვალმოხდილი წავიდა სამშობლოს წინაშე. მარად დარჩება მისი ნათელი ხსოვნა ახლობლებისა და თანამებრძოლთა გულში.

შავნაბადის სპეცდანიშნულების ბატალიონი.

რამინ ლორთქიფანიძე

გარდაიცვალა ცეკავშირის საიჯარო აგროსამრეწველო სავაჭრო ფირმა „თამარისის“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე რამინ ლორთქიფანიძე.

უდროოდ წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, ჩინებული მამა, უღალატო მეგობარი, დაუღალავი მაძიებელი და შემოქმედი, რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში კვების მრეწველობის ერთ-ერთი აქტიური მშენებელი.

დაიბადა 1929 წელს, დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი. წლების მანძილზე მუშაობდა ჩაის მრეწველობაში, შემდეგ კი თავის ცხოვრებას უკავშირებს ცეკავშირის სისტემას, სადაც მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იგი იყო მაღალი კლასის პროფესიონალი, უხვად გასცემდა თავის ცოდნას, დაუზარლად ილწვოდა დარგის შემდგომი წინსვლისათვის.

რამინ ლორთქიფანიძის ხსოვნა მარად დარჩება თანამშრომელთა და მეგობართა გულში.

ცეკავშირის გამგეობა.

საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის თავმჯდომარეს აკაკი სიხარულიძეს მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს და საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის ნავსადგურის ყოფილი უფროსი, ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი

გიორგი სიმონის ძე ვატაევი

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

საქართველოს კინოკონცერნი „ქართული ფილმი“, კინოსტუდია „მემატიანე“, რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოხელოვნების ინსტიტუტი იუწყებიან, რომ აფხაზეთში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპნენ კინოდოკუმენტალისტები —

რეჟისორი გულიკო ივანეს ასული გოდოლაძე,
ოპერატორი ჯუმბერ თევდორეს ძე ეზუგბაია

და თანაგრძნობას უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.

ვიყიდით!

კორპორაცია „НИПЕК“-ის აქციებს თითო 1800 მანეთად. მინიმალური პარტია 100 ცალი. მთლიანი თანხა განთავსებული იქნება მოსკოვში, გამყიდველის პირად ანგარიშზე მისივე განკარგვის ქვეშ. მოგვმართეთ: ფირმა „იბერი“-ს, ქ. თბილისი მოსაშვილის ქ. № 7-5; ტელ.: 29-14-81.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა

გ ა ც ნ ო ბ ე ბ თ

რომ მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის მიზნით გამოშვებულია შემნახველი ბანკის **1000, 5000 და 10000 მანეთის ღირებულების სერთიფიკატები,** რომლებიც თავისუფლად იყიდება და მიიღება გასანაღდებლად შემნახველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

სერთიფიკატები გამიზნულია ფულადი დანაზოგების **10 წლის ვადით** შენახვისათვის. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში თქვენი თანხა **ხუთმაგდება,** ე.ი. სერთიფიკატზე გაიცემა შემოსავალი წლიური გაანგარიშებიდან საშუალოდ **40%**-ის ოდენობით.

შემნახველი ბანკის სერთიფიკატი - ფასიანი ქაღალდია წარმომდგენზე, რომელიც შესაბამად შეგიძლიათ მიაბაროთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი გაძლევთ თქვენი ფულადი ოპერაციების ანონიმურობის გარანტიას.

ბანკის გამგეობა შეგახსენებთ, რომ 1991 წლის 1 მარტამდე გაცემულ სერთიფიკატებზე დარიცხულია **კომპენსაცია 40%** და გაკეთებულია **100%-იანი ინდექსაცია,** როგორც ძირითად, ასევე საკომპენსაციო თანხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი მომავალშიც იზრუნებს მაქსიმალურად დაიცვას თქვენი ანაბრები ინფლაციისაგან.

თენგიზ ქავთარაძე,

მცირე ბიზნესი:

იმედები და რეალობა

მცირე ბიზნესი მთელ მსოფლიოში დიდი აღიარებით სარგებლობს. მიზეზი გასაგებია, მცირე და საშუალო მეწარმეობა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის მოქნილობას, მანევრირებას, კონკურენციის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, ერთი ადგილის ტკეპნის ტენდენციის შესუსტებას, ფასწარმოქმნის პროცესის ნორმალიზაციას, უმუშევრობასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემის გადაწყვეტას.

განვითარებულ ქვეყნებში წარმოების ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპები და იმავდროულად ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობა იწვევს მცირე ბიზნესში „სიკვდილიანობისა“ და „დაბადების“ ინტენსიურ ნაკადს. მცირე ბიზნესის სფეროში ეს უკანასკნელი ჭარბობს და ამ პროცესს ამერიკელი ეკონომისტები თვლიან საბაზრო ტიპის მეურნეობისათვის მნიშვნელოვან მახასიათებლად. თუმცა მათგან, რაც მაკროეკონომიკური პროპორციების თვალსაზრისით სასურველია, სოციალურ-ეკონომიკური თვალთახედვით ყველაფერი არ არის მისაღები, სწორედ აქედან წარმოიქმნება სახელმწიფო რეგულირების როლი, რომელიც თავის რეგიონული ინსტიტუტებით ეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს.

ამგვარი ინსტიტუტების (ეროვნული განსხვავებულობის მიუხედავად) საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მცირე და საშუალო საწარმოებისადმი დახმარება სახელმწიფო პროგრამით ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის პერიოდებში; ფინანსური დახმარება; ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნა მცირე ბიზნესისათვის კონტრაქტების სახელმწიფო სისტემაში შესასვლელად; საორგანიზაციო და მართვის საკითხებზე კონსულტირება.

ფინანსურ დახმარებას ძირითადად კრედიტების მიცემით უწევენ. ამერიკული პრაქტიკა, მაგალითად, მცირე ბიზნესის ფინანსირების ზოგადი, რეგულარული, სპეციალური პროგრამებით მოქმედებს. იაპონიაში კი ფინანსური დახმარების ცხრა სპეციალური ინსტიტუტი არსებობს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო კორპორაცია, რომელიც მას პრეფექტურის დონეზე აფინანსებს, ზრდის კადრებს, აზღვევს; მცირე ბიზნესის საფინანსო კორპორაცია; მცირე ბიზნესში კრედიტების დაზღვევის კომპანია და სხვ.

„მცირე ბიზნესის ადმინისტრაციას“ შეუძლია აგრეთვე არაფინანსური დახმარებაც გასწიოს. ესენია: ტექნოლოგიის გადაცემა ფედერალური ლაბორატორიებიდან და უნივერსიტეტებიდან. საპატენტო-სალიცენზიო სამუშაოების ჩატარება; პერსონალის სწავლებისადმი ხელშეწყობა; ბაზრის მომწოდებლების, მომხმარებლების და სხვა საკითხებზე კონსულტაციები.

როგორც ირკვევა, ჩვენს ეკონომიკაში მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების პირობების პრინციპული განსხვავება ის არის, რომ მათი უდიდესი ნაწილი სახელმწიფო სექტორს განეკუთვნება და მათი ჩამოყალიბება ხდება საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების გარდამავალ პერიოდში. ამასთან კანონი „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საკმაოდ დეკლარაციული ხასიათისაა, მასში არ არის მეურნეობრიობის მცირე ფორმებზე გადასვლისა და დაფინანსების მექანიზმი, სადაც მათი სპეციფიკა იქნება გათვალისწინებული (განსაკუთრებით ინოვაციური), არ არის მოფიქრებული სახელმწიფო რეგულირების სისტემა.

დაბნეულობა, რომელიც სამეურნეო პრაქტიკაში შეიქმნა, იმან გამოიწვია, რომ ამა თუ იმ კატეგორიისადმი საწარმოს მიკუთვნების კრიტერიუმად იღებენ მხოლოდ მის ზომას, რაც საკუთრების ფორმასთან არაფრით არ არის დაკავშირებული. არადა იგი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო საკუთრება, ისე კოოპერაციული, საოჯახო, სააქციონერო ან ინდივიდუალური საკუთრება. კოლექტიური ან ინდივიდუალური საკუთრების შემთხვევაში მცირე საწარმოს დაფუძნება ან დახურვა ხდება იჯარის, კოოპერატივების და სააქციონერო საზოგადოებათა შესახებ კანონის შესაბამისად.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში მცირე ფირმების დამკვიდრებისათვის სასტარტო პირობები და გარდამავალი ეტაპის ეკონომიკური გარემო სხვადასხვანაირია. უახლოეს დროში მის განვითარებას ხელს შეუშლის შემდეგი ფაქტორები: სახელმწიფო საკუთრების ყოვლისმომცველი ხასიათი, ახალ იურიდიულ პირთა სამართლებრივი დაუცველობა; ნედლეულის მასალების, მოწყობილობების საბითუმო ბაზრის უქონლობა; სამუშაო ძალის ბაზრის განუვითარებლობა; მცირე ფირმათა დასაფინანსებლად საკრედიტო სისტემის მოუმზადებლობა; მცირე მეწარმეობისადმი სახელმწიფო დახმარების პროგრამის უქონლობა, სადაც ამგვარი დახმარების პრიორიტეტები და კრიტერიუმები იქნებოდა გამოხატული.

საჭიროდ ვთვლი ამ ფაქტორებზე უფრო დაწვრილებით შევჩერდე. თუ ჩვენ ეკონომიკური პროცესების ინერციულობას, სახელმწიფო საკუთრების კონცენტრაციის მაღალ დონესა და ყოვლისმომცველ ხასიათს გავითვალისწინებთ, ძნელია უახლოეს დროში ვივარაუდოთ ახალი ეკონომიკური აგენტების — საბაზრო ტიპის მცირე საწარმოების მასობრივი შექმნა. როგორც ჩანს, მცირე ბიზნესის ეფექტს უნდა მოველოდეთ, ე. წ. მცირე პრივატიზაციის ჩატარებით — ვაჭრობის, მომსახურების, მშენებლობის სფეროს საწარმოთა გაყიდვით, ანუ იმ კომპლექსის გაყიდვით, სამომხმარებლო ბაზართან რომ არის დაკავშირებული. ეს ღონისძიება კაპიტალურ დანახარჯებს არ მოითხოვს. ამასთან ნაწილობრივ მოხსნის მოსახლეობის დასაქმების პრობლემას, რომლის მნიშვნელობაც სტრუქტურულ ცვლილებათა განვითარების კვალობაზე სულ უფრო იზრდება.

გზად მომავლისკენ

დღევანდელ პრაქტიკაში შეინიშნება მეურნეობრიობის მცირე ფორმებზე გადასვლის ტენდენციები. საწარმოთა ხელმძღვანელები და კოლექტივები სხვადასხვა მიზეზების გამო ამ პროცესით დაინტერესებულები არიან. მათ აქეთკენ უბიძგებს ცხოვრების რეალობა, სამეურნეო კავშირების გაწყვეტა, ხელშეკრულებათა შეუსრულებლობა, ახალი საბეგრო კანონმდებლობა. ცალკეულ ქვედანაყოფებზე სტრუქტურულ ერთეულებზე (საამქროები, დამხმარე საწარმოები, სამეცნიერო ქვედანაყოფები მსხვილ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებთან) გადასვლა ხსნის მათზე ოპერატიული ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას, ისე რომ არ ეკარგებათ შენობისა და მოწყობილობების საიჯარო გადასახადი, გარანტირებული მომარაგება, არ ირღვევა ხელშეკრულების (სახშეკვეთის) პირობები და ა. შ. ამასთან დამფუძნებელი ფირმა მოგებიდან თავის წილს იღებს.

ეს საქმის ერთი მხარეა. მეორე ის არის, რომ მცირე საწარმოს შექმნის სურვილს კოლექტივს კარნახობს სახელშეკრულებო შეთანხმების ზევით კოლექტივის შესაძლებლობათა რეალიზების, შრომის ანაზღაურებაში კიდევ უფრო მეტი თავისუფლებისაკენ სწრაფვა. სწორედ ამის შედეგად ყალიბდება საიჯარო, კოოპერაციული, სააქციონერო საწარმოთა სახით მცირე სამეურნეო ფორმათა გამოყოფის ტენდენცია.

მიგვიყვანს განსახელმწიფოებრიობის ეს გზა ახალი საწარმოოორგანიზაციული ფორმების გაჩენამდე (რომელთა საქმიანობაც ყველაზე მეტად მიესადაგება მეურნეობრიობის საბაზრო გარემოს) თუ არა, პერსპექტივაში ეს დამოკიდებულია ბაზრის და მისი ინსტიტუტების ცხოველმყოფელობაზე. დღესდღეობით მცირე საწარმოდ ქვედანაყოფის სტრუქტურული ერთეულის გამოყოფა დიდადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე და იგი მოქმედი კანონმდებლობით სამართლებრივად დაუცველია.

დამფუძნებელთან კონფლიქტური სიტუაციის დროს მცირე საწარმოს გამოყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი არ შეიძლება არბიტრაჟში გასაჩივრდეს, რადგან ამ უკანასკნელს საქმე აქვს მხოლოდ იურიდიული პირის სტატუსის მქონე მხარეებთან.

სპეციალისტთა აზრით დღევანდელი სასამართლო სისტემა მზად არ არის ამგვარი საქმეების განხილვისათვის. უახლოეს პერსპექტივაში იურიდიული პირის სტატუსის მიღების ერთ-ერთ რეალურ გზად რჩება იჯარა, მისი შემდგომი გამოსყიდვით, რაც წესდებაში დაფიქსირებულია. სამართლებრივი ნორმების თვალსაზრისით ეს გზა უფრო საიმედოა. მაგრამ დამფუძნებლის (იჯარის გამცემის) გაურკვევლობას მაინც იწვევს ის გარემოება, რომ სახელშეკრულებო შეთანხმების (საიჯარო გადასახადის მოცულობა, ხელშეკრულების ვადების წყვეტილობა) შესრულების მტკიცე გარანტია არ არსებობს.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დაკრედიტების განვითარებული სისტემა ფინანსირების სხვადასხვა ინსტიტუტებს სთავაზობს. ძირითადად ესენია კომერციული ბანკი (უნივერსალური, სპეციალიზებული), სადაზღვევო კომპანიები, დარგობრივი და ინოვაციური ფონდები, სარისკო კაპიტალის საზოგადოება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინსტიტუციონალური სტრუქტურების რეგიონული კომერციული განყოფილებები, რეგიონული გარანტიები (უსასყიდლო სუბსიდიები).

კომერციული კრედიტის გაცემის ასეთი განშტოებული სისტემა, სარისკო ფინანსირების საზოგადოებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენს ეკონომიკაში ჯერ არ არის. მცირე და ჩვეულებრივი საწარმოების დაფინანსების ხერხები ერთმანეთისაგან არაფრით არ გამოირჩევა. დასახული საბანკო რეფორმების მიმდინარეობისას გაჩენილი კომერციული ბანკის როლი უმნიშვნელოა. მათი საქმიანობა დაყვანილია პროცენტულ განაკვეთებს შორის განსხვავების განსაზღვრაში, რითაც ფულადი სახსრები შეისყიდება და გაიყიდება. მცირე მეწარმეობის დაკრედიტების ზოგადი წესი პირველ რიგში აყენებს გარანტიის პრობლემას. დღეს თავდების როლში შეუძლია გამოვიდეს მხოლოდ დამფუძნებელი (ზემდგომი ორგანიზაცია) ან დაინტერესებული მსხვილი შემკვეთი. სხვა პოტენციური შესაძლო გარანტი, მაგალითად, რეგიონული ორგანოს ან ანტიმონოპოლიური კომიტეტების სახით, არ არსებობს.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს? ის, რომ საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების გარდამავალ პერიოდში გაგრძელდება მცირე და საშუალო საწარმოთა (ძირითადად მომსახურების სფეროს) ქსელის ჩამოყალიბების პროცესი, რაც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული თვითონ დამფუძნებლებთან. თუ კი დემონოპოლიზაციისა და პრივატიზაციის პროგრამები თანდათან, კონკრეტული ნაბიჯებით განხორციელდება, მაშინ საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასთან ერთად ახალი ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმების გაჩენის აუცილებელი პირობები შეიქმნება, რომლებიც უფრო მეტად იქნებიან მორგებული მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმს და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს.

ეს პროცესი აუცილებლად თუ არ განვითარდა, მაშინ მცირე და საშუალო მეწარმეობა ვერ გახდება სუფთა ბიზნესის სფერო. იქმნება საფრთხე იმისა, რომ სტრუქტურულ შეფარდებათა რეალური ცვლილება, მეურნეობრიობის მცირე და საშუალო ფორმების განვითარება იმაზე შორს ვერ წავა, ვიდრე ეს არის მცირე საწარმოო ქვედანაყოფების გამოყოფა ჩამოყალიბებული ასოციაციებიდან, კონცერნებიდან, აქციონერული საზოგადოებიდან, მართვის გამარტივებულ სქემებზე გადასვლა ანდა მართვის აპარატის შემცირებაა. შედეგად მივიღებთ ეკონომიკის მონოპოლისტურ სტრუქტურას, აქაიქ ჩასმული მცირე და საშუალო საწარმოებით, რომელთაც ფორმალურად დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი ექნებათ, ფაქტობრივად კი მსხვილი საწარმოს (ახალი ასოციაციის) კონტროლს იქნებიან დაქვემდებარებული. გარეგნულად ეს მოგვაგონებს მონოპოლისტურ ფირმებს, რომელთაც მცირე დამოუკიდებელი მიმწოდებლების ქსელი აქვთ და რომლებიც კონტრაქტების, ქვენარდის, ფრანჩაიზინგის სისტემებით არიან გატაცებულნი. მაგრამ ამ სისტემას არ ექნება კონკურენციისათვის აუცილებელი მოქნილობა და მანევრირება, რაც დამახასიათებელია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. საბაზრო მექანიზმთან ყველაზე შეგუებული ახალი სამეურნეო აგენტის სტიმულირების ძირითადი ღონისძიებები კი იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ ეკონომიკურ სუბიექტებს მეწარმეობის თავისუფლება მიეცეთ.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.
ტელეფონი — 34-78-40.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434